

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა პროფესიული განათლების სისტემაში ტრანზიცია

2021 წელი



დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაციის „ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ“-FAD მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით

ავტორები:

მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი

მარია ზაქარეიშვილი

სარჩევი

დოკუმენტის შექმნის მიზანი.....	3
რა არის აუტიზმის სპექტრი?.....	4
რას გულისხმობს განათლების საფეხურებს შორის ტრანზიციის და რატომ არის ის მნიშვნელოვანი?	5
სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება სკოლიდან პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის საკითხებზე.....	5
ტრანზიციის მოდელი დიდ ბრიტანეთის განათლების სისტემაში	7
ტრანზიციის მოდელი ფინური განათლების სისტემაში	13
ტრანზიციის მოდელი შვედეთის შტატებში.....	16
შეჯამება	18
ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიულ განათლებაში აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა ტრანზიციის გამოცდილება საქართველოში	19
1. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა განათლება ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურზე	19
2. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა განათლების შემდგომ საფეხურზე ტრანზიციის არსებული გამოცდილება და გამოწვევები	21
2.1 სჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე დღის ცენტრის სპეციალისტების მოსაზრებები	22
2.2 ინკლუზიური განათლების სფეროში მომუშავე ექსპერტების მოსაზრებები.....	23
2.3 აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდების მშობლების მოსაზრებები	26
შეჯამება:	27
აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის მოდელი:	28
როდის უნდა დაიწყოს ტრანზიციის პროცესი?	28
ტრანზიციის პირველი ეტაპის ამოცანები.....	29
მოზარდის ინტერესების გამოკვეთა	32
შეხვედრა პროფესიის წარმომადგენელთან და საუბარი პროფესიაზე.....	34
პროფესიის ამსახველი ბარათების - ვიდეო რგოლების გაცნობა	35
პროფესიული აქტივობების რეალურ გარემოში დაკვირვება	36
პროფესიული აქტივობების მოსინჯვა	38
რეფლექსია პროცესზე.....	40
მოზარდის რეფლექსია	40
სპეციალისტის რეფლექსია	41
თანამშრომლობა იმ უწყებასთან, სადაც ხორციელდება მოზარდის ტრანზიციის	42
ვინ წარმართავს ტრანზიციის პროცესს	44
აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა პროფესიული განათლების სისტემაში ტრანზიციის მოდელის პილოტირების ანგარიში.....	47
პილოტირების პროცესი	49
გამოყენებული ლიტერატურა	57
დანართი N1	58
დანართი N2	64

დოკუმენტის შექმნის მიზანი

განათლების სხვადასხვა საფეხურებს შორის ურთიერთკავშირი და თანამშრომლობა ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში. კვლევები ცხადყოფს, რომ რაც უფრო მომზადებულია ბავშვი სკოლამდელი საფეხურიდან სასკოლო განათლებაში გადასვლისათვის, მით უფრო ადვილად ადაპტირება ახალ გარემოში, ნაკლებია შფოთვა, ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები და მაღალია აკადემიური მოსწრება (Dockett and Perry 2007). დაგეგმილი და გაცნობიერებული ტრანზიციის არსებითია სკოლიდან განათლების შემდეგ საფეხურზე ან ღია შრომის ბაზარზე გადასვლის შემთხვევაშიც, განსაკუთრებით კი როდესაც საუბარია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე.

მოცემული დოკუმენტი კიდევ უფრო კონკრეტულ საკითხს აქცევს ფოკუსში და წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების მქონე ქვეყნების მაგალითზე აღწერს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდების ტრანზიციის სკოლიდან პროფესიული განათლების სისტემაში; ასევე განიხილავს, საქართველოში დაგროვილ გამოცდილებას, წარმატების განმსაზღვრელ საყურადღებო ფაქტორებს და იმ ნაბიჯებს, რაც უნდა გადადგას სკოლამ, პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ იმისათვის, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირები მომზადებულები აღმოჩნდნენ სკოლიდან განათლების შემდეგ საფეხურზე გადასვლისათვის.

რა არის აუტიზმის სპექტრი?

აუტიზმის სპექტრი წარმოადგენს განვითარების დარღვევას, მდგომარეობას, რომელმაც ინდივიდში შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სოციალური, კომუნიკაციური და ქცევასთან დაკავშირებული ბარიერები. ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მონაცემების (2016 წლის მონაცემი) მიხედვით, ყოველი ერთი ბავშვი 54-დან იდენტიფიცირებულია აუტისტური სპექტრით. იგი ვლინდება ნებისმიერი რასის, ეთნიკურებისა და სოციალური კლასის მქონე ინდივიდებში. აღნიშნული მდგომარეობა ოთხჯერ უფრო ჭარბობს ბიჭებში ვიდრე გოგონებში (CDC).

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების კომუნიკაციის სტილი, ქცევა, ახალი ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავების გზები განსხვავებულია საზოგადოების უმრავლესი წევრებისაგან. მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან აღნიშნული დიაგნოზის მქონე პირებიც. სწორედ ამის გამო, აღნიშნულ მდგომარეობას სპექტრის სახელით მოიხსენიებენ - არსებობენ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირები, რომელთა დამოუკიდებლობის და ფუნქციონირების ხარისხი მაღალია და პირები, რომელთაც ძალიან ინტენსიური და ყოველდღიური მხარდაჭერა ესაჭიროებათ (CDC).

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებს აქვთ შემდეგი მახასიათებლები, რაც გარკვეულ გამოწვევებს ქმნის მათ სასწავლო პროცესში:

- კომუნიკაცია და ინტერაქცია, მეტყველების გაგება და გამოყენება: აღნიშნული უნარები ვარირებს ინდივიდებს შორის. არსებობენ პირები, რომლებიც იყენებენ მეტყველებას, ამყარებენ კომუნიკაციას და პირები, რომლებიც ვერბალურ კომუნიკაციას ვერ ამყარებენ და ზოგადად, კომუნიკაციური სირთულეები აქვთ.
- სოციალური კონტექსტის გაგება და აღქმა: შესაძლოა გართულებული იყო სხვების ქცევისა და ემოციების გაგება, რაც ხშირად, ართულებს მეგობრების, ნაცნობების შექმნის შესაძლებლობას და მონაწილეობას სოციალურ აქტივობებში.
- ინტერესები და ინფორმაციის გადამუშავება: შესაძლებელია, გამოწვევას წარმოადგენდეს პროცესების დაგეგმვა. ინფორმაციის განსხვავებული გზებით გადამუშავების გამო, შესაძლოა, გამოიკვეთოს ძლიერი მიჯაჭვულობა კონკრეტული რუტინების/წესების მიმართ და ცვლილებებთან, ახალ გარემოსთან შეგუების სირთულე.
- სენსორული ინფორმაციის გადამუშავება: სენსორული ინფორმაციის განსხვავებული გზებით გადამუშავების გამო, ხშირია ზეზღურბლოვანი/ქვეზღურბლოვანი მგრძობელობა, რამაც ინდივიდი შესაძლოა მიიყვანოს სტრესისა და შფოთვის მაღალ დონემდე, განსაკუთრებით მაღალია ეს რისკი ახალ/უცხო გარემოში (Ambitious about Autism 201).

სწორედ საკითხის უკიდურესად ინდივიდუალური ბუნების გამო, საგანმანათლებლო სერვისების დაგეგმვისა თუ განხორციელების პროცესში, ყურადღებით უნდა იქნას გააზრებული აუტიზმის სპექტრთან დაკავშირებული თავისებურებები, განსაკუთრებით კი, ცვლილებებთან, ახალ გარემოსთან შეგუების საკითხები. ერთი რამ ფაქტია, სწორი, კარგად გააზრებული, ინდივიდზე ცენტრირებული მხარდაჭერის პირობებში, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირები ახერხებენ პროგრესს და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას (Ambitious about Autism, 2016).

რას გულისხმობს განათლების საფეხურებს შორის ტრანზიცია და რატომ არის ის მნიშვნელოვანი?

ინდივიდის ემოციური, კოგნიტური თუ ფიზიკური განვითარება ცხოვრების ციკლის ცვლილებას იწვევს და ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას გულისხმობს. ბავშვის გადასვლას/გადანაცვლებას განათლების ერთი საფეხურიდან მეორეზე, ტრანზიცია ეწოდება. ტრანზიცია განვითარების ნებისმიერ საფეხურზე უკავშირდება იდივიდში შფოთვის მომატებას, გარკვეულ შიშებს, რაც ახალი და უცნობი გარემოს არსებობით არის განპირობებული. ტრანზიციის პოზიტიური გამოცდილება კი, მოსწავლის მომავალი სოციალური, ემოციური და საგანმანათლებლო წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია (van Genneep, 1960).

ტრანზიციის პროცესის მხარდაჭერის მთავარი ამოცანაა, ინდივიდმა იპოვოს პასუხი კითხვებზე: -როგორია ახალი გარემო?

-რით არის ახალი გარემო განსხვავებული მისთვის ჩვეული გარემოსგან?

-რა მოხდება იქ? (რა ხდება იქ განსხვავებული ან განსხვავებულად?)

-რა მოლოდინები უნდა ჰქონდეს ახალი გარემოსგან? (რამდენად უსაფრთხოდ და დაცულად იქნება?)

-რა იქნება მისთვის საინტერესო?

ტრანზიციის მხარდაჭერა გულისხმობს სპონტანურობის და მოულოდნელობების მინიმუმამდე შემცირებას, შესაბამისად, საჭიროებს ფრთხილ დაგეგმვას ერთი მომსახურებიდან მეორეში გადასვლამდე, გადანაცვლების პროცესში და მას შემდეგ (ადრეული ბავშობა და ტრანზიცია სკოლაში, 2019).

ტრანზიციასთან დაკავშირებული თავისებურებები აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებთან

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებს, ხშირ შემთხვევაში, გაცილებით მეტი დრო და მხარდაჭერა სჭირდებათ გააცნობიერონ სიახლეები, შეეგუონ და მიიღონ ახალი რუტინა, ახალი ადამიანები. აღნიშნულ პროცესში გაწეული მხარდაჭერა, ზრდის განათლების შემდეგ საფეხურზე მათი ეფექტიანი ინკლუზიის და ემოციური კეთილდღეობის შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რიგ განვითარებულ ქვეყნებში არსებობს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებისათვის სკოლიდან პროფესიულ განათლებაში, თუ განათლების სხვა საფეხურზე ტრანზიციის ხელშემწყობი, სისტემური პროგრამები.

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება სკოლიდან პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის საკითხებზე

ევროკავშირის ქვეყნებს შორის არის განსხვავებული მდგომარეობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებზე და მათი მხარდაჭერის მექანიზმებზე. 2018 წელს გამოქვეყნდა კვლევა, რომელიც ეძღვნებოდა აუტიზმსა და განათლების უფლების რეალიზების საკითხს დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში, საფრანგეთსა და ესპანეთში. კვლევის თანახმად, **ევროკავშირის დონეზე** არსებობს დოკუმენტი „Charter for Persons with Autism„ (1992), რომელიც რეფერირებას აკეთებს ადამიანის უფლებათა დეკლარაციაზე და ხაზს უსვამს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანების განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის უფლებას. 2015 წელს ევროსაბჭოს მიერ მიღებულ იქნა „Written Declaration of Autism“. აღნიშნული დეკლარაცია ფოკუსში აქცევს, აუტიზმის ადრეული იდენტიფიკაციის და სფეროში კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მნიშვნელობას. **პოლონეთს** აქვს ზოგადი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების განათლების უფლების რეალიზებას არეგულირებს, თუმცა, არ აქვს სპეციფიური რეგულაციები (მხოლოდ მცირე ჩანაწერი ჯანდაცვის აქტში) აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებთან მიმართებით.

საფრანგეთმა 2005 წელს მიიღო კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტში სპეციფიური ჩანაწერები აუტიზმთან დაკავშირებით არ არის, საფრანგეთს შემუშავებული ჰქონდა სამი სტრატეგია (2005-2007; 2008-2010; 2013-2017) აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა მენისტრიმინგზე, სადაც მთავარი აქცენტებია გაკეთებული აუტიზმის ადრეულ იდენტიფიცირებაზე, განათლების ხელმისაწვდომობასა და სპეციალისტების კომპეტენციის სათანადოდ განვითარებაზე.

ესპანეთის კონსტიტუცია ჯერ კიდევ 1978 წლიდან აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს და აქცენტს აკეთებს მათი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების ხელშეწყობაზე. ესპანეთმა 2015 წელს დაამტკიცა აუტიზმის პირველი სტრატეგია, რომელიც კონცენტრირებულია აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ინდივიდუალიზებულ სერვისებზე, სპეციალისტების კვალიფიკაციის განვითარებაზე და რაც მთავარია, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების ტრანზიციის ხელშეწყობის აუცილებლობაზე განათლების სხვადასხვა საფეხურზე (სტრატეგიის მეათე მიზანი) (Roleska, M et.al 2018).

სხვადასხვა ქვეყანას, საგანმანათლებლო საფეხურებსა და ღია შრომის ბაზარზე ტრანზიციასთან დაკავშირებული განსხვავებული გამოცდილება გააჩნია. აღნიშნული განსხვავება აისახება როგორც ტრანზიციასთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და პრაქტიკულ პროცედურებში, ისე, დანერგილ მხარდაჭერ სერვისებსა და საჭირო რესურსების არსებობაში. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ტრანზიციის საკითხი ყველა პირთან მიმართებით შედარებით ფართო ქრილში განიხილება, ხოლო ზოგ შემთხვევაში, აქცენტი უშუალოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ტრანზიციასა გამახვილებული. ზოგ ქვეყანას ტრანზიციის

პოლიტიკა და ფორმალური პროცედურები აქვს შემუშავებული, ხოლო ზოგ შემთხვევაში, აღნიშნული პროცესი არაფორმალური სახით ხორციელდება.

ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, ახალ საგანმანათლებლო გარემოში/დია შრომის ბაზარზე ინდივიდების, განსაკუთრებით კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ტრანზიციის, საერთაშორისოდ აღიარებულ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს და მრავალი ქვეყანა ტრანზიციასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. ქვემოთ განხილულია სამი, წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების მქონე ქვეყნის (დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, ავსტრალია) მაგალითი, კონკრეტულად აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის ფოკუსით.

ტრანზიციის მოდელი დიდ ბრიტანეთის განათლების სისტემაში

ბრიტანეთში 2014-2015 წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმა სპეციალური და ინკლუზიური განათლების მიმართულებით. რეფორმის ფარგლებში საბაზო სკოლის საფეხურზე შეიქმნა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების, კომპლექსური გამოწვევების მქონე მოზარდების განათლების შემდგომ საფეხურებზე / შრომის ბაზარზე ტრანზიციის მხარდამჭერი პროგრამა - FAS (Finished at School). პროგრამის მიზანს წარმოადგენდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიღწევების გაზრდა (ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით), თავისუფალი არჩევანის, განათლების საფეხურებს შორის უმტკივნეულოდ გადასვლის შესაძლებლობის და დასაქმების ადგილებზე წვდომის უზრუნველყოფა. აღნიშნული მოდელის განხორციელების პროცესში, ყველაზე დიდი მნიშვნელობა მოზარდების პირადი ბედნიერების მიღწევას და საკუთარი სურვილების შესაბამისად ცხოვრების ხელშეწყობას ენიჭება.

პროგრამის საფუძველს წარმოადგენს ბრიტანეთის მთავრობის მიერ 2014 წლის პირველ სექტემბერს დამტკიცებული „ბავშვებისა და მშობლების მხარდამჭერი აქტი“, და „სპეციალურ განათლებასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდამჭერი პრაქტიკის კოდექსი“, (SENDE Code of Practice). აღნიშნული აქტების დამტკიცების შედეგად, ბრიტანეთში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა სისტემურ დონეზე. კერძოდ, გაერთიანდა საგანმანათლებლო, სოციალური და ჯანდაცვის მხარდამჭერი პაკეტი და სპეციალური საჭიროების მქონე (0-25 წელი) ინდივიდებისათვის მხარდაჭერის კონსოლიდირებული სისტემა ჩამოყალიბდა. აღნიშნულ სისტემაში, მთავარი ამოსავალი ბენეფიციარი და მისი ოჯახია. საჭიროების იდენტიფიცირებისთანავე ადგილობრივი მთავრობის შესაბამისი სამსახურის კოორდინირებით, იქმნება განათლება-ჯანდაცვა-სოციალური დაცვის გეგმა (EHC) და ერთიანდება რესურსები მისი იმპლემენტაციისთვის. აღნიშნული მექანიზმი გულისხმობს ინდივიდისა და მისი ოჯახის კომპლექსურ, ურთიერთ შემავსებელ და უწყვეტ მხარდაჭერას, რაც ჯანდაცვის, განათლების და სოციალური დაცვის სისტემებს შორის უწყვეტი თანამშრომლობის შედეგია.

შესაბამისად, პროგრამის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს თანამშრომლობა კონკრეტული, ერთი მიზნისთვის გაერთიანებულ მხარეებს შორის. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე

მოზარდების განათლების შემდგომ საფეხურზე ტრანზიციის განსახორციელებლად, იქმნება მხარდამჭერი ცენტრები/ჰაბები, რომელშიც ერთიანდება სკოლა, პროფესიული კოლეჯი და ადგილობრივი მთავრობა (საჭიროების შემთხვევაში, რთავენ სხვა ორგანიზაციებსაც).

ჰაბის მუშაობა და მთლიანად პროცესი კონკრეტულ მიდგომებს ეფუძნება:

- 1. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა მონაწილეობა მათივე სერვისის დაგეგმვაში** - კოლეჯში ტრანზიციის პროცესის დასაგეგმად მნიშვნელოვანია აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა მიერ გაზიარებული ინფორმაცია და მოტივაცია სასურველი პროფესიის შესახებ. ამავდროულად, პროგრამა ითვალისწინებს იმას, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდების მხრიდან, საკუთარი დამოკიდებულების, ინტერსების დაფიქსირება ხშირ შემთხვევაში გართულებულია, რის გამოც, პროგრამის ფარგლებში განვითარებულია სხვადასხვა მიდგომა, მათ შორის ციფრული საკომუნიკაციო საშუალებების აქტიური გამოყენების. სკოლები პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობით იყენებენ Youtube-ის არხს მოსწავლისათვის სხვადასხვა პროფესიების შესახებ ვიდეო ინფორმაციების მისაწოდებლად; კოლეჯები ქმნიან ვირტუალურ ტურებს, წერენ ბლოგებს და უგზავნიან მომავალ სტუდენტს მათი მაქსიმალური ინფორმირებისთვის. კოლეჯები პარალელურად მუშაობენ დანარჩენ სტუდენტებთან, ზოგადად აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, რათა მოხდეს ჩაგვრის (ბულინგის) პრევენცია. პროგრამის სავალდებულო პაკეტი ითვალისწინებს „პიროვნებაზე ცენტრირებული“ ოთხდღიანი ტრენინგების ორგანიზებას ჩართული სკოლებისა და კოლეჯებისათვის. გარკვეულ აქტივობებში, მაგ. კომუნიკაციის გრაფიკული ხელოვნებით წარმართვა, თავად აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებიც ერთვებიან. სპეციალისტები მუშაობენ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებთან იმისათვის, რომ მათ შეძლონ საკუთარი დამოკიდებულებების და პოზიციების გამოხატვა. აღნიშნული მეთოდი გაზიარებულ იქნა სკოლების მიერ და ტრანზიციის პროცესში აქტიურად გამოიყენება. ტრანზიციისაზე მომუშავე ჯგუფი (ჰაბის წევრები) ცდილობს მოზარდის მონაწილეობით შეიმუშაოს თვითპრეზენტაციის “ერთ გვერდიანი” მოქნილი დოკუმენტი, სადაც მოცემულია კოლეჯში წარსადგენად ძირითადი ინფორმაცია მოსწავლის შესახებ. FAS პროგრამა ითვალისწინებს პროცესზე მუდმივ დაკვირვებას, ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით მოზარდების პროცესში ჩართულობის გაზრდას და მათი დამოკიდებულების გაგება - გათვალისწინებას. სპეციალისტები განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ აღნიშნული ინფორმაციის მოგროვებისათვის. მათ შორისაა, ინდივიდუალური ინტერვიუები, კითხვარები, დაკვირვება და სხვა.
- კვლევის საფუძველზე აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთა მხრიდან დასახელდა რამდენიმე საერთო საკითხი რაც პროცესს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს. ეს საკითხებია: კოლეჯში სწავლის დაწყებამდე მათთვის მოწყობილ შეხვედრებზე მისვლის და კოლეჯისათვის მოსამზადებელი წინარე კურსის გავლის შესაძლებლობა. ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვნად მიიჩნევდა გარკვეული დროის და პირადი სივრცის არსებობას ლექციაზე შესვლამდე. გამოკითხულ პირთა უმრავლესობამ გააზიარა ასევე თავისი განცდები და დამოკიდებულებები - შფოთვის არსებობა კოლეჯის გარემოს მიმართ; შფოთვა იმაზე, განსაზღვრულ დროში შეასრულებენ თუ არა დავალებულ აქტივობებს; ხომ არ შეიცვლება

კოლეჯის მიერ დადგენილი ცხრილი; ხომ არ გახდებიან ჩაგვრის (ბულინგის) მსხვერპლნი და სხვ.

ხშირად, ტრანზაქციის პროცესში არსებული ემოციური ფონის გასაწესებლად, კოლეჯები იყენებენ „ელჩი სტუდენტის“ მიდგომას. ელჩის როლს მათივე კოლეჯის სტუდენტი ან კურსდამთავრებული აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირი ასრულებს და შესაბამისი რესურსის არსებობის შემთხვევაში, ეხმარება ახალმოსულებს გარემოში ადაპტირების პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუკი მოზარდს კომპლექსური გამოწვევები აღენიშნება და მისი ჩართვა პროცესში რთულია, ინფორმაციის მთავარი წყარო ხდება მშობელი.

2. მშობლებთან და ბავშვზე ზრუნვის საკითხებში ჩართულ პირებთან თანამშრომლობა -

ხშირად, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლებს აქვთ წუხილი/შფოთვა შვილის მომავალთან დაკავშირებით. FAS პროგრამა მშობელთან მუშაობას იწყებს მაშინ, როდესაც ბავშვი ცხრა წლის ხდება. მშობელთან მუშაობს, როგორც სკოლა, ასევე კოლეჯი. პირველი შეხვედრა კოლეჯის წარმომადგენლებსა და მშობელს შორის სწორედ სკოლაში ხდება მათი შვილის პედაგოგებისა და ნაცნობი სპეციალისტების გარემოცვაში. ხშირად, სკოლები აწყობენ „დილის ყავის“ სესიებს, სადაც მშობლები, კოლეჯი და სკოლა ერთად იკრიბება და არაფორმალურ გარემოში განიხილავენ საკითხებს. ასევე კოლეჯები მართავენ “ღია კარის დღეებს” სადამობოთ, სადაც მშობლებს შეუძლიათ მისვლა, მშვიდ გარემოში კოლეჯის დათვალიერება, საუბარი და მათთვის აქტუალური საკითხების განხილვა. შეხვედრების მიღმა კოლეჯები ტრანზიციასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ინფორმაციას ათავსებენ ვებ-გვერდზე, ამზადებენ ციფრულ მასალებს.

3. სხვა პროვაიდერებთან აქტიური თანამშრომლობა -

როგორც ზემოთ აღინიშნა, FAS პროგრამის მუშაობა თანამშრომლობაზეა დაფუძნებული და ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ მექანიზმს, რაც გულისხმობს იმას, რომ ტრანზიციის პროცესის მაკოორდინირებელია ადგილობრივი ხელისუფლება, შესაბამისი ფუნქციის მატარებელი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია EHC გეგმის შემუშავებაზე სკოლასთან, კოლეჯთან და სხვა სერვისებთან თანამშრომლობით. სკოლა ვალდებულია გასცეს ინფორმაცია ბავშვის უნარების, საჭიროებების ინტერსების შესახებ, კოლეჯი კი ვალდებულია, რაც შეიძლება ადრეული ეტაპიდან დაიწყოს მზადება და ააგოს აქტივობათა ჯაჭვი, რომელიც შესაძლოა გუსლიხმობდეს მოზარდის კოლეჯისათვის მოსამზადებელ პროგრამაში ჩართვას, ინდივიდუალურად გარემოსთან შეგუების სტრატეგიების განსაზღვრას და სხვა. სკოლა და კოლეჯი მიყვება შემდეგ პოლიტიკას „გვითხარი მხოლოდ ერთხელ“, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაცემების შეგროვება იმგვარად არის ორგანიზებული, რომ მშობელს ერთი და იგივე ინფორმაციის გამეორება არ უწევს სხვადასხვა პროვაიდერთან საუბრისას. ხშირად ტრანზიციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ჰაბის წევრები მიმართავენ სხვა სკოლას, რომელსაც უკვ ჰქონია მსგავსი გამოცდილება, იყენებენ მათი პედაგოგის რესურსს. შესაძლოა ასევე ადგილობრივ მთავრობაში არსებული ჯგუფების ჩართვა, თუკი გუნდი განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დგება და რესურსების გაზრდის საჭიროება ჩნდება. პარტნიორებთან ერთად ჰაბი ცდილობს აუტიზმთან დაკავშირებით ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების წარმოებას. მთავარი პრიციპი ამ მექანიზმის მუშაობაში არის

ნათლად გაწერილი როლები, კომუნიკაციის მეთოდები, შეხვედრების დროს განსაზღვრული ამოცანები და საზიარო ხედვა საბოლოო მისაღწევი მიზნის შესახებ.

4. **მასწავლებლების, სხვა ჩართული პირების ცნობიერების, ცოდნისა და უნარების განვითარება აუტიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე** - ტრანზიციის პროგრამის ფარგლებში ხდება სხვადასხვა ტიპის ტრენინგების შეთავაზება, როგორც სკოლის საფეხურზე მყოფი პედაგოგების, ასევე კოლეჯებში ჩართული მასწავლებლებისა და დამხმარე სპეციალისტებისათვის. ტრენინგების შინაარსს და სამიზნე ჯგუფს, ჰაბი ყოველი კონკრეტული მოზარდის საჭიროებიდან გამომდინარე ერთობლივი მუშაობის შედეგად განსაზღვრავს. ხშირ შემთხვევაში, ტრენინგები კონკრეტული პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა მიმართული. ასევე, ხორციელდება ტრენინგები კოლეჯებში აუტიზმის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების გასაზრდელად. ადგილობრივი მთავრობა ქმნის ონლაინ ტრენინგებს, რომელიც შეუძლია ნებისმიერმა კოლეჯის წარმომადგენელმა გაიაროს. არსებითად მნიშვნელოვანია კოლეჯების მმართველი მენეჯერების ტრენინგები, რასაც ასევე სთავაზობს ჰაბი. ბოლო წლებში გასაკუთრებით აქტუალური გახდა სკოლისა და კოლეჯის პედაგოგების გადამზადება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში, რადგან სათანადო კომპიუტერული უნარების ფლობა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებთან მუშაობისას, მნიშვნელოვნად ეხმარება სპეციალისტსა და ინდივიდს კომუნიკაციაში და ზრდის პროცესის ხარისხს.
5. **ინდივიდზე ცენტრირებული მუშაობა სკოლიდან პროფესიულ განათლებაში გადასვლის გზაზე** - რეგულაციის შესაბამისად, ადგილობრივი მთავრობა ბავშვის EHC გეგმის გადახედვას ახორციელებს ცხრა წლის ასაკში, როდესაც ინდივიდი ნელ-ნელა უნდა მოემზადოს განათლების შემდეგ საფეხურზე ტრანზიციისათვის. აღნიშნული ინფორმაციის დაზუსტებისთვის ხდება სკოლის, კოლეჯის, თავად ინდივიდის, ოჯახის შეკრება და ოთხდღიანი, პიროვნებაზე ცენტრირებული ტრენინგი. შეხვედრისას ხდება ინფორმაციის დაზუსტება მოსწავლის შესახებ და კონკრეტული ამოცანების განსაზღვრა, რომელიც გეგმის ნაწილი ხდება. ტრენინგის დროს იწერება ერთ გვერდიანი რეზიუმე მოსწავლის შესახებ. მონაწილეები ერთვებიან როლურ თამაშებში, რათა უკეთ გააცნობიერონ რა სიტუაციები შეიძლება შეხვდეს პირს აუტიზმის სპექტრით ახალ გარემოში და რა ემოციები შეილება ჰქონდეს მას ამ დროს.
6. **ტრანზიციის მხარდასაჭერად კურიკულუმისა და სერვისების განვითარება** - FAS პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო შინაარსის გადახედვას და განსხვავებული გზების დასახვას. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა მომზადება სკოლის შემდგომი საფეხურის/დასაქმებისთვის უკავშირდება იმის დადგენას, თუ რა უნარები აქვს განვითარებული მოსწავლეს, რა სასწავლო შინაარსი ხვდება მას ახალ გარემოში, რა სირთულეები შეიძლება შეხვდეს და როგორ უნდა მოერგოს პროფესიული განათლების კურიკულუმი მის საჭიროებებს. აღნიშნული ამოცანების გადაჭრა ტრანზიციის პროცესის განუყოფელი ნაწილია. კურიკულუმის ადაპტაციაზე მუშაობის პარალელურად, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებისათვის კოლეჯები ქმნიან ან აუმჯობესებენ მხარდამჭერ სერვისებს (მაგ. პროფესიულ კოლეჯში “ტესტ-გაკვეთილების“ საათების გაზრდა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დაგეგმვა კონკრეტული ინდივიდის

სპეციფიკის გათვალისწინებით). მაგალითისთვის, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებისათვის, რომლებსაც გამდიზიანებლებზე ზე-მგრძობელობა აღნიშნებოდათ, ერთ-ერთმა კოლეჯმა შექმნა „სენსორული ტესტ გაკვეთილები“. ამ ინიციატივის ფარგლებში, კოლეჯი აწყობდა ვიზიტებს ფერმაში, სადაც მოსწავლეები ნელ-ნელა ეჩვეოდნენ გარემოსთან დაკავშირებულ ისეთ დისკომფორტს, როგორცაა სპეციფიკური სუნი, ტალახში გადაადგილება და სხვა. ენებოდნენ კონკრეტულ აღჭურვილობას, რაც შემდგომში მათ სასწავლო პროცესში იქნებოდა გამოყენებული. აღნიშნული სატესტო გაკვეთილების დროს მოზარდს სკოლიდან სპეციალისტი მიჰყვება, იმისათვის, რომ მას ახალ გარემოში ადაპტირება გაუიოლდეს. სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა მოსწავლე კოლეჯში მცირე დროით დაესწროს მისთვის საინტერესო კურსს. სპეციალისტებმა პროცესზე დაკვირვებით აღმოაჩინეს, რომ ზოგჯერ სატესტო გაკვეთილების არსებობა (თუნდაც გაზრდილი დროით), არ არის საკმარისი ზოგიერთი პირისათვის, რადგან აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებს გარემოსთან შეგუებისთვის კიდევ უფრო დიდი დრო შეიძლება დასჭირდეთ. შესაბამისად, გარდა „სატესტო გაკვეთილებისა“ დაინერგა „აუტიზმზე მორგებული ჯაჭვი“, რომლის ფარგლებშიც, მოსწავლესთან მუშაობა იწყება გაცილებით ადრე და გულისხმობს გარემოსთან ადაპტირებას დროის ეტაპობრივი გაზრდით. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში იქმნება ცხრილი, რომლის საფუძველზეც მოსწავლე ახალ გარემოში ჯერ მხოლოდ ერთი საათით (ან ნაკლები) ყოვნდება და შემდგომ ეტაპებზე ახანგრძლივებს კოლეჯში გატარებულ დროს. გარდა ამისა, სანამ მოსწავლე დაწესებულებაში პირველ ვიზიტს განახორციელებს, კოლეჯი აწვდის ციფრულად მომზადებულ ინფორმაციას სასწავლო გარემოსა და იქ მომუშავე ადამიანებზე (Ambitious about Autism 201).

საინტერესო მიდგომა მოსინჯა ბრიტანეთის ერთ-ერთმა სპეციალიზებულმა სკოლამ, რაც გამოიხატება კვირაში ერთხელ კურიკულუმით განსაზღვრული საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) გაკვეთილების კოლეჯის ლაბორატორიაში ჩატარებაში. გარდა ზემოაღნიშნული მიდგომებისა, ტრანზიციის პროგრამის ფარგლები დაინერგა „საზაფხულო პროგრამები“. თუკი წარმოვიდგინოთ, რომ ძირითად შემთხვევაში ბრიტანეთში სკოლა მაისის ბოლოს მთავრდება, ხოლო კოლეჯში სწავლა სექტემბერში იწყება, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირისათვის ეს შუალადი შესაძლოა რეგრესის საფუძველი აღმოჩნდეს. აღნიშნულის თავიდან ასარიდებლად, კოლეჯში ვიზიტები, სატესტო გაკვეთილები და სხვა აქტივობები ზაფხულის პერიოდშიც მიმდინარეობს.

ჰაბის წევრები მუშაობენ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდისათვის პროფესიული კურიკულუმის მორგების საკითხებზე, ძირითადი სწორება არის დასაქმებისათვის, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თემში ინტეგრირებისთვის აუცილებელი უნარების განვითარებაზე. კურიკულუმზე მუშაობისას ხშირად გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები:

- **პროგრესის განხორციელებისათვის საჭირო ინდივიდუალური და მოქნილი გზების განსაზღვრა** - გასათვალისწინებელია, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებს უნარები არათანაბრად აქვთ განვითარებული და შესაბამისად, კურიკულუმით მოთხოვნილ სხვადასხვა კომპეტენციასთან მიმართებით, შესაძლოა სხვადასხვა დონეზე იმყოფებოდნენ. აღნიშნულის გააზრების გარეშე მისთვის დაგეგმილი სასწავლო პროცესი მექანიკური და ნაკლებად შედეგიანი იქნება.

- **კომუნიკაცია ადგილობრივ დამსაქმებელთან** - აღნიშნული კომუნიკაცია მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლისათვის შექმნილი/ადაპტირებული კურიკულუმი დამსაქმებლისთვის საჭირო მოთხოვნებს ერგებოდეს. აღნიშნული მიდგომა მომავალში პირის დასაქმების შანსებს ზრდის. საგულისხმოა, რომ ბრიტანულ მოდელში პროფესიულ კოლეჯებში ტრანზიციის პროცესის მიმართ კომპლექსური მიდგომა და ბმამია დასაქმების პერსპექტივებთან. შესაბამისად, კოლეჯში გადასვლისთანავე კონსულტაციების პროცესში რთავენ დასაქმების მხარდამჭერ ქოუჩებს, რათა მოზარდის კოლეჯიდან შრომის ბაზარზე გადასვლის პროცესი დროულად დაიგეგმოს და სათანადოდ წარიმართოს.
- **პროფესიული კვალიფიკაციების ფართო სპექტრიდან მოზარდისათვის საინტერესო პროგრამის შერჩევა** - ბრიტანეთში მრავალფეროვანია კვალიფიკაციათა ჩამონათვალი, რომელსაც შესაძლოა მოსწავლე პროფესიული განათლების ფარგლებში დაეუფლოს. ტრანზიციის პროგრამის განხორციელებისას ყველაზე რთულ საქმეს წარმოადგენს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებთან პროფესიებისა და კვალიფიკაციის შესახებ კომუნიკაცია, მათი დამოკიდებულებისა და მოტივაციის გამოვლენა და სწორად აღქმა. ამისათვის, სპეციალისტები მრავალფეროვან მეთოდებს იყენებ, რაც ძირითად შემთხვევაში ტექნოლოგიებთან არის დაკავშირებული (Ambitious about Autism 2016). ბრიტანულ საგანმანათლებლო სისტემაში კურიკულუმის ადაპტაციის სხვადასხვა მაგალითები არსებობს. ერთ-ერთი მოდგომაა, კურიკულუმის გამრავალფეროვნება ბენეფიციარების საჭიროების გათვალისწინებით. ერთ-ერთმა კოლეჯმა პროფესიული განათლების კურიკულუმის გადახედვისას დაამატა რამდენიმე მიმართულება, რომელიც მორგებული და საინტერესო იქნებოდა აუტიზმის სპექტრის მქონე სტუდენტებისთვის. ეს იყო სპორტი, მულტიმედია, საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT) და ხელოვნება. Gloucestershire-ის კოლეჯის მიერ მთლიანად გადაიხედა კოლეჯში მიღების წინაპირობები, მოხდა აღნიშნული წინაპირობების ადაპტირება და ამით, გაიზარდა კოლეჯის ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის. ამავე კოლეჯის მიერ დაინერგა პერსონალურ საჭიროებაზე მორგებული ცხრილები, შეიქმნა ერთწლიანი ტრანზიციის პროგრამა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებისათვის. საყურადღებოა, რომ ხშირ შემთხვევაში, კურიკულუმში ხდება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და სოციალური უნარების განვითარებისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაოს ინტეგრირება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ FAS პროგრამისათვის დაგეგმილი ტრანზიცია არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურად შენობის დათვალიერებას, რამდენიმე შეხვედრას გამშვებ და მიმღებ დაწესებულებას შორის. პროგრამა მთლიანად ეფუძნება ჰოლისტურ მიდგომას და უწყვეტობის პრინციპს. აღნიშნულ მოდელში, სასწავლო გარემოსთან, კურიკულუმთან, თუ პედაგოგთა კომპეტენციის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვა ეფუძნება ინდივიდების კონკრეტულ საჭიროებებს. საგულისხმოა, აღნიშნული მიდგომის არა მხოლოდ პროცესი, არამედ მისი შედეგიც. შედეგი კი იზომება იმით, ახდენს თუ არა საბოლოო ჯამში აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირი ინტეგრირებას კოლეჯის სისტემაში. ბრიტანულ მოდელს გამოარჩევს მუდმივი სწრაფვა ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, რისი

უზრუნველყოფაც ხდება პროცესის მუდმივი შეფასებით, სერვისში ჩართული პირების მოსაზრებებისა და უკუკავშირის ანალიზის გზით.

ტრანზიციის მოდელი ფინური განათლების სისტემაში

ფინეთს აქვს კანონი განათლების შესახებ, რომელიც მოიცავს ინკლუზიურობის პრინციპს და განათლებასა და სერვისებს ხდის ყველასათვის ხელმისაწვდომს. ფინური განათლების სისტემისათვის მნიშვნელოვან პარადიგმას წარმოადგენს მეტი ინვესტიციის ჩადება პრევენციაში და სასკოლო სისტემების გაძლიერება იმგვარად, რომ არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს განათლების მიღმა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულო განათლების (7-16 წლის ბავშვებისთვის) მიღების შემდეგ, ყველა მოსწავლეს და მათ შორის აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ინდივიდებს, სწავლის გაგრძელება შეუძლიათ შემდგომი საფეხურის აკადემიურ ან პროფესიულ პროგრამებზე. აკადემიური და პროფესიული მიმართულება ფინეთში სამ წელს მოიცავს, რის შემდეგაც, ინდივიდს სწავლა შეუძლია განაგრძოს უმაღლეს სასწავლებელში ან გავიდეს ღია შრომის ბაზარზე.

იმ შემთხვევაში, თუკი აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებს პროფესიულ ან აკადემიურ პროგრამებზე გადასვლამდე სურთ გაიძლიერონ აკადემიური და სოციალური უნარები, მათ შეუძლიათ ჩაერთონ “დამატებითი განათლების” მომსახურებაში. აღნიშნული სერვისი მოიცავს ერთ წელს, კონცენტრირებულია ძირითად საგნებზე და მოსწავლეს ამზადებს აკადემიური ან პროფესიული მიმართულებისათვის. მოცმული პროგრამა შესაძლოა იყოს ინდივიდუალური, კონკრეტული პირის საჭიროებებზე მორგებული.

ფინურ განათლების სისტემაში საბაზო განათლების დასრულებისას, პროფესიულ პროგრამებზე ტრანზიციის გზაზე, მოზარდებისთვის შეათვაზებულია წინა-პროფესიული უნარების განვითარების სერვისი, რომლის ფარგლებშიც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებთან მუშაობენ პროფესიების დაუფლებისათვის საჭირო გამჭოლი უნარების განვითარებაზე. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მომსახურება მოიცავს სარეაბილიტაციო მიმართულებასაც. წინა პროფესიული უნარების განვითარების სერვისის პარალელურად, არსებობს “ქოუჩინგის” მომსახურება. მათთვის, ვისაც პროფესიული განათლება არ აინტერესებთ, სერვისი ეხმარება განივითარონ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარები და განსაზღვრონ სამომავლო გეგმები.

ფინეთს აქვს მოსწავლეების მხარდაჭერის ეგრეთ წოდებული სამ საფეხურიანი მოდელი. **პირველი დონის მხარდაჭერა** ხორციელდება კლასებში, ყველა იმ ბავშვისთვის, ვისაც გარკვეული სირთულეები ექმნება პროგრამის მიყოლასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი ბავშვს ჰქონდეს კონკრეტული დიაგნოზი.

მეორე დონის მხარდაჭერა გულისხმობს სასკოლო გარემოში მიზნობრივი და ინტენსიური ინტერვენციების განხორციელებას ბავშვის გასაძლიერებლად.

მესამე დონის - სპეციალური მხარდაჭერა კი, ხორცილდება სპეციალიზებულ გარემოში ან ნაწილობრივ საჯარო სკოლაში.

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების მხარდაჭერის ფორმა დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ მდგომარეობაზე.

ფინურ განათლების სისტემაში ტრანზიციის პროცესის დოკუმენტირება რეგულაციისა და კანონის დონეზე არ არის განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი სპეციფიურად არ არის რეგულირებული აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებთან მიმართებით, აღნიშნული მდგომარეობის მქონე მოსწავლეების ტრანზიციისათვის მზადებას სკოლა მეცხრე კლასიდან (რიგ შემთხვევებში კი, უფრო ადრეც) იწყებს და ქმნის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმას. გეგმის ფორმატი, შემუშავების ვადები განსხვავებულია და იცვლება სკოლების მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, გეგმის წარმოება სრულიად ონლაინ ფორმატში ხორციელდება. ზოგად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ გეგმა შედგენილია სკოლის მიერ, მოსწავლესთან და მის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. გეგმის კოორდინირება ხდება მოსწავლის მხარდამჭერი პირის მიერ, რომელიც ტრანზიციის ჯგუფთან ერთად უზრუნველყოფს მის განხორციელებას. ტრანზიციის ჯგუფი, როგორც წესი, შედგება მოსწავლისგან, მასწავლებლებისგან, სკოლის ხელმძღვანელობისგან და სხვა პროფესიონალებისაგან (მაგალითად, სკოლის ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი და სხვა). ტრანზიციის ჯგუფის შეხვედრები, ხშირ შემთხვევაში, ხდება სავალდებულო განათლების ბოლო წლის (მეცხრე კლასი) მიმდინარეობისას. მიზნები, რომელთა განხილვაც ხორციელდება ტრანზიციის შეხვედრის დროს, უნდა ეფუძნებოდეს მოზარდის ინტერესებს, ფიქრებს და სურვილებს მომავალზე. ბუნებრივია, გათვალისწინებულია მოზარდის ინდივიდუალური შესაძლებლობები.

ტრანზიციის გეგმა მოიცავს შემდეგს:

<p>ძირითადი ინფორმაცია ბავშვზე, მის ოჯახზე</p>	<p>ბავშვის დაბადების თარიღი, საცხოვრებელი მისამართი, საჭიროების შემთხვევაში, საკონტაქტო პირი და მისი მონაცემები, სერვისები რომელსაც იღებს, მედიკამენტები და მათი მიღების გრაფიკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სხვა საგულისხმო ინფორმაცია, რაც უნდა იცოდეს, როგორც გამშვებმა, ასევე მიმღებმა დაწესებულებამ.</p>
<p>ინფორმაცია მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და ინტერესებზე სასკოლო, სახლის და თავისუფალი დროის კონტექსტის გათვალისწინებით</p>	<p>რა აქტივობების კეთება უყვარს მოზარდს? რა აქტივობები გამოსდის ყველაზე კარგად? რა ზრდის მის ენთუზიაზმს? რა არის მისი ჰობი?</p>

საგანმანათლებლო პროფილი და საჭირო მხარდაჭერა	კომპეტენციები მშობლიურ და უცხო ენებში, მათემატიკასა და ყველა ძირითად საგანში, რომელიც კურიკულუმით არის გათვალისწინებული. მოზარდის ზოგადი და სოციალური უნარები. მაგალითად, რამდენად მარტივად შეუძლია ახალი ინფორმაციის ათვისება, რამდენად მიყვება სასკოლო წესებს, ყავს თუ არა მეგობრები, როგორია ურთიერთობის პატერნი თანატოლებთან და სხვა.
ფიზიკური და მენტალური კეთილდღეობა	გეგმის მოცემულ თავში შესაძლებელია განთავსებული იყოს დოკუმენტაცია მომზადებული სხვა დამხმარე სპეციალისტების მიერ (ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ფიზიოთერაპევტი და სხვა).
ადაპტური უნარები	განხილულია მოზარდის ყოველდღიური რუტინა - რითია დაკავებული, როგორ ატარებს თავისუფალ დროს, რამდენად აქვს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობა, აქვს თუ არა გაკვეთილების ცხრილის დამოუკიდებლად მიყოლის შესაძლებლობა, აქვს თუ არა ეკონომიკური თავისუფლება (ნაწილობრივ მაინც), შეუძლია თუ არა ტრანსპორტით დამოუკიდებლად სარგებლობა და სხვა.
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	ნებისმიერ ინფორმაცია, რაც კონკრეტულად აღნიშნულ მოსწავლეს უკავშირდება, ქცევის კონკრეტული პატერნი, თვითკონტროლი, განსაკუთრებული მხარდაჭერის საჭიროება და სხვა.
შეთანხმება ბავშვის ინფორმაციის გაცემის თაობაზე	მშობელი აკეთებს დეკლარირებას, რომ არ არის წინააღმდეგი მის შვილთან დაკავშირებული ინფორმაცია გაზიარებულ იქნას მიმღებ დაწესებულებასთან.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ფინურ მოდელში ნაკლებად იგრძნობა გარე სერვისების ჩართულობა ტრანზიციის პროცესის მიმდინარეობაში, არ იკვეთება სისტემებს შორის (ჯანდაცვა, განათლება და სოციალური დაცვა) თანამშრომლობის განსაკუთრებული როლი, როგორც ეს ბრიტანულ მოდელში იყო. ფინური მოდელის მთავარი სიძლიერე მდგომარეობს იმაში, რომ ადგილობრივი ზოგადი განათლების სისტემა ყველა ძირითადი ატრიბუტითა და კომპონენტით ინკლუზიურია, თითოეული გაკვეთილი თავიდანვე დაგეგმილია და მორგებულია სხვადასხვა საჭიროებას, ნებისმიერი მცირე სირთულეც კი, რაც შესაძლოა ბავშვს შეექმნას, თავიდანვე მხარდაჭერილია დამხარე სერვისით. ამის პარალელურად, ბრიტანული მოდელის მსგავსად, არის მომსახურებები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებს ტრანზიციის პროცესში მეტად აძლიერებს და ამზადებს შემდგომი საფეხურისთვის.

ტრანზიციის მოდელი შეერთებულ შტატებში

შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების აქტი” (IDEA). აღნიშნული აქტი არის მთავარი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დანერგილ სერვისებს 7.5 მილიონი ბავშვისა და ახალგაზრდისათვის (2018-2019 წლის მონაცემი). IDEA-2004 ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ტრანზიციის ხელშეწყობას განათლების საბაზო საფეხურიდან შემდგომ საფეხურებზე. დოკუმენტში ხაზგასმულია განათლების მიწოდების მნიშვნელობა და სკოლების ვალდებულება ხელი შეუწყონ ტრანზიციის პროგრამების განვითარებას (ASD Transition Toolkit 2016).

IDEA 2004-ის მიხედვით სკოლის მთავარი ფუნქციაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრების შემდგომი ეტაპისთვის მომზადება. ამერიკული განათლების სისტემა ასევე ცდილობს სკოლის წიაღში და მის გარეთაც შექმნას განვითარების მრავალფეროვანი მოქნილი მიმართულებები, რათა მოზარდებს ჰქონდეთ რეალური არჩევანი. აუტიზმის სპექტრის მქონე პირებთან ტარდება აქტიური კონსულტაციები, რათა განისაზღვროს რა არის მათი ძლიერი მხარე. შესაძლოა ზოგიერთ მათგანს განათლების გაგრძელება უნივერსიტეტის საფეხურზეც უნდოდეს, ზოგისთვის ღია შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრება იყოს აქტუალური, მნიშვნელოვნად გამოხატული გამოწვევების შემთხვევაში, მეტი დრო და ძალიხმევა იხარჯება შესაბამისი გეგმების განსაზღვრისათვის. ტრანზიციის პროცესი სწორედ არჩეული გზის გაკვლევას და ახალ გარემოში უმტკივნეულოდ გადასვლას ემსახურება.

აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების ტრანზიციის პროცესის საკვანძო საკითხები

- ასაკის შესაბამისი შეფასების განხორციელება, მოზარდის ინტერსების დასადგენად, ასევე, მიღწეული უნარების შეფასება შემდგომი საგანმანათლებლო მიზნების განსასაზღვრად.
- სკოლის შემდგომ სერვისებში ჩართულობასთან დაკავშირებით ინდივიდუალურ უნარებზე მორგებული მიზნების დასახვა.
- ყოვლისმომცველი და ინდივიდის საჭიროებაზე ორიენტირებული ტრანზიციის პროგრამის გაწერა, რომელიც დაფუძნებული იქნება მოზარდის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, მიმართული იქნება კონკრეტული მიზნისაკენ და გააერთიანებს რელევანტურ უწყებებსა და პირებს.
- უწყებათაშორისი სერვისების თანამშრომლობა, სათემო ორგანიზაციების, დამსაქმებლების და შესაბამისი საგანმანათლებლო უწყებების ჩართულობით.
- პროფესიული ორიენტაცია, პროფესიების დემონსტრირებისათვის არა მარტო პროფესიული განათლების სივრცის, არამედ დასაქმების ადგილების გამოყენება, ვიზიტების სათანადოდ დაგეგმა და განხორციელება.
- აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდის ქოუჩინგი, აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებისათვის.

პერიოდი, როდესაც განათლების შემდგომი საფეხურისთვის მზადება იწყება

აშშ-ის სისტემაში ტრანზიციისათვის მზადება მინიმუმ ერთი წლით ადრე იწყება. გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია მზადება უფრო ქვედა კლასებიდანაც კი განხორციელდეს.

მოსამზადებელი ფაზა გულისხმობს აქტიურ მუშაობას აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებაზე, სენსორულ თვითრეგულაციაზე და ციფრული უნარების განვითარებაზე, რაც შემგომ საფეხურზე წარმატებული ადაპტაციის საფუძველია. ამერიკულ საგანმანათლებლო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმ გარემოს შესწავლას, სადაც მოზარდი უნდა გადავიდეს. მსგავსად სხვა ქვეყნებისა, ახალი გარემოს გასაცნობად აქაც იყენებენ კოლეჯების მიერ მომზადებულ ვირტუალურ ტურებს, ადგილზე ვიზიტებს, კოლეჯში მისასვლელად საჭირო სატრანსპორტო სისტემების შესწავლას და სხვა. მოცემულ სისტემაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება უნარების გავარჯიშებაზე, რათა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირმა ახალ გარემოში ადაპტირება შეძლოს, შესაძლებლობის გათვალისწინებით დაგეგმოს თავისი საქმიანობა, მოახერხოს ცხრილის მიყოლა, სენსორული თვითრეგულაციისათვის გამოიყენოს სხვადასხვა დამხარე საშუალება. აღნიშნულ სისტემაში ფართოდ ინერგება გაფართოებული კურიკულუმი, რომელიც რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს და წამყვანი ადგილი ეთმობა თვითადაპტირებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

ტრანზიციის პროცესის ორგანიზებაში ჩართული პირები

აშშ-ის სისტემაში ტრანზიციის პასუხისმგებელია შესაბამისი მიზნით შექმნილი ჯგუფი, რომელშიც საკმაოდ მრავალფეროვანი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები შეიძლება იყვნენ გაერთიანებული. ესენი არიან: სპეციალური პედაგოგი, მშობელი/მეურვე, ზოგადი განათლების პედაგოგი, სკოლის პროფესიული განათლების სპეციალისტი, სკოლაში არსებული ტრანზიციის სპეციალისტი, სკოლის ოლქის წარმომადგენელი, მთავარი მაკოორდინირებელი (Guidance Counselor), მეტყველების თერაპევტი, აუტიზმის სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, სკოლის ფსიქოლოგი, ქცევის მართვის სპეციალისტი, პროფესიული რეაბილიტაციის სპეციალისტი (ადგილობრივი რეაბილიტაციის სერვისიდან), შემთხვევის მენეჯერი (ადგილობრივი შუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდამჭერი სამსახურიდან) და მიმღები დაწესებულების წარმომადგენლები. აღნიშნული სპეციალისტების ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სკოლის მიერ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ყველა სპეციალისტი ყველა შემთხვევის განხილვაში არ არის ჩართული, სპეციალისტის მონაწილეობა დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევასა და არსებულ გამოწვევებზე.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ტრანზიციის პროცესი ამერიკის შუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების აქტივ რეგულირდება, სისტემაში არსებობს სათანადო კომპეტენცია და მრავალფეროვანი სპეციალისტები. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება შუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაზე.

შეჯამება

სხვადასხვა ქვეყნის ტრანზიციის მოდელების ანალიზის საფუძველზე იკვეთება საერთო პატერნები, რაც აღნიშნულ სისტემებს საუკეთესო პრაქტიკებად აქცევს და განაპირობებს იდივიდუების განათლების შემდგომ საფეხურზე/დასაქმების ადგილზე ეფექტურ ტრანზიციას.

პირველი კომპონენტი განათლების სისტემის მართვა და მასთან დაკავშირებული რეგულაციები. აღნიშნულ ქვეყნებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების ორგანიზება დეცენტრალიზებული აქვთ, სადაც ადგილობრივი სამსახურები ჩართულები არიან პროცესის კოორდინირებაში. თითოეულ ამ ქვეყანას აქვს ზოგადი აქტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი საკითხების და ასევე, კონკრეტული რეგულაციები აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა საკითხების დასარეგულირებლად. ამ მიმართულებით განხილულ ქვეყნებს შორის დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები ლიდერობენ. ასევე აღსანიშნავია მართვასა და რესურსების გადანაწილებაში ჰოლისტური მიდგომა, რაც განსაკუთრებით კარგად აქვს განვითარებული დიდ ბრიტანეთს, რომელიც აერთიანებს განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სერვისებს. მხარდაჭერა მიმართულია მთლიანად ოჯახისაკენ და არა მხოლოდ აუტიზმის სპექტრის მქონე მოზრდებისკენ.

მეორე კომპონენტი ძლიერი თანამშრომლობითი კულტურის არსებობა რელევანტურ რგოლებს შორის (პოლიტიკისა და პრაქტიკის დონეზე). დიდი ბრიტანეთის მიდგომა განსაკუთრებით საინტერესოა ამ კუთხით, როცა ერთი მიზნის მისაღწევად ყველა რელევანტური მხარე ერთიანდება და ქმნის ჰაბებს. დანარჩენ ორ ქვეყანას დანერგილი აქვს „ტრანზიციაზე მომუშავე ჯგუფების“ ფორმირების გამოცდილება. თუმცა, თითოეული ქვეყანა საჭიროების შემთხვევაში, პროცესში დამატებით პარტნიორებს რთავს. თანამშრომლობის ფორმატები სტრუქტურირებულია და განმტკიცებულია ტრანზიციის გეგმით, რომლის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი არსებითად არ განსხვავდება ამ სამ ქვეყანას შორის. ბრიტანეთი ასევე წარმატებით იყენებს არაფორმალური შეხვედრების ფორმატებს კოლეჯის წარმომადგენლებსა და მშობლებს შორის (დილის ყავა სკოლაში, საღამოს ღია კარის დღეები კოლეჯში).

მესამე კომპონენტი მრავალფეროვანი მხარდამჭერი სერვისები. სამივე ქვეყანას აქვს მომსახურება, რომელიც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირს აძლევს საშუალებას და დროს აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებისათვის (დამატებითი განათლება, გაფართოებული კურიკულუმი). სამივე ქვეყანა ნერგავს წინა პროფესიული უნარების განვითარების სერვისს. ბრიტანეთს დამატებით შემუშავებული აქვს „ტესტ გაკვეთილების“ და „აუტიზმის ჯაჭვის“ პროგრამები, რომლის მიზანიც არის აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირის ახალ გარემოსთან ეტაპობრივი შეგუების ხელშეწყობა.

მეოთხე კომპონენტი ინდივიდზე ცენტრირებული მოქნილი სასწავლო პროცესი და სათანადო ადამიანური რესურსი. აღნიშნული მიმართულებით თითოეული ქვეყნის მოდელი განსხვავებული სიძლიერით გამოირჩევა. კერძოდ, ფინურ სისტემაში კურიკულუმიც,

მასწავლებლის კომპეტენციაც და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი სერვისიც ისეა მოწყობილი, რომ ყველა მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა გარანტირებულია. მთლიანად საგანმანათლებლო კონტექსტია მხარდამჭერი, შესაბამისად, ტრანზიციის პროცესში მუშაობენ მოზარდის დამატებითი უნარების განვითარებაზე. დიდი ბრიტანეთში არსებულ კოლეჯებს აქვთ გარკვეული თავისუფლება ტრანზიციის პროცესში გადახედონ კურიკულუმს და შეიტანონ ისეთი ცვლილებები, რაც ბენეფიციარს პროცესში მეტი მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს. აშშ-ის მოდელი იყენებს გაფართოებულ კურიკულუმს და ასევე სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კომპეტენციის მქონე სპეციალისტებს რთავს. მასწავლებლების კომპეტენციების განვითარების მწყობრი სისტემა იკვეთება ბრინტანეთსა და ფინეთის მოდელშიც.

მეხუთე კომპონენტი უდიდესი ძალისხმევით ჩადება იმაში, რომ აუტისტური სპექტრის მქონე პირები თავად იყვნენ საკუთარი ტრანზიციის პროცესის დაგეგვაში ჩართულები და მათი ხმა იყოს გათვალისწინებული. ეს ასპექტი განსაკუთრებულად იკვეთება ბრინტანეთისა და შტატების მაგალითზე.

შესაბამისად, ტრანზიციის გამართული სისტემის არსებობისთვის, აუცილებელია, ქვეყანას ჰქონდეს ინკლუზიური განათლების მართვის და რეგულირების გამართული სისტემა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემებთან, სტრუქტურირებული და მიზანზე მიმართული თანამშრომლობის გამოცდილება და კულტურა, აუტიზმის სპექტრის მქონე პირებისთვის მორგებული მრავალფეროვანი სერვისები, მომზადებული ადამიანური კაპიტალი, სპეციალისტების გადამზადების შესაძლებლობები, უნივერსალურ პრინციპებზე აგებული კურიკულუმი.

ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიულ განათლებაში აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა ტრანზიციის გამოცდილება საქართველოში

1. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა განათლება ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურზე

ზოგადი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოში 2006 წლიდან მიმდინარეობს. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეების ჩართვა განათლების სისტემაში ძირითადად სამი ფორმით ხდება: სრული ინკლუზია სასწავლო პროცესში, ინტეგრირებული კლასები და რესურს სკოლა. მხარდამჭერი რესურსი, რაც შეთავაზებულია აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე განათლების ამა-თუ იმ ფორმის შემთხვევაში არის ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი და ინდივიდუალური ასისტენტი. სასწავლო პროცესი ეყრდნობა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებას და შესაძლოა ხორციელდებოდეს სასწავლო გარემოში მცირე აკომოდაციებით/ინდივიდუალური

სასწავლო გეგმით/ალტერნატიული კურიკულუმის მეშვეობით. 2021 წლის ოქტომბრის თვის მონაცემზე დაყრდნობით, ზოგადი განათლების საფეხურზე აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე 1224 მოსწავლეა ჩართული (EMIS 20.10.2022)

ზოგადი განათლების საფეხურზე, არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, იკვეთება, რომ არ არსებობს მწყობრი მექანიზმი, რომელიც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეების სკოლიდან განათლების შემდგომ საფეხურზე ტრანზიციას შეუწყობს ხელს. მეორეს მხრივ, ეროვნული სასწავლო გეგმის (2011-2016) მიხედვით, განათლების საბაზო საფეხურის (VII-IX კლასები) ძირითადი ამოცანებია:

- დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;
- შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში;
- შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობა სწავლის გასაგრძელებლად, ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად (ნ. რუხაძე 2018).

აღნიშნული ჩანაწერის პრაქტიკაში განხორციელების ხელშეწყობა არსებითია. მთავარია მოსწავლემ ზოგადი განათლების საფეხურის დასრულებამდე გააცნობიეროს საჭიროებები, აღმოაჩინოს სასურველი პროფესია, აუტიზმის შემთხვევაში კი, გადამწყვეტია ინტერსების იდენტიფიცირებისა და ახალი გარემოს შერჩევის/მასთან შეგუების პროცესი სკოლის საფეხურზე, ადრეული პერიოდიდან დაიწყოს (მაგალითად მე-7 კლასიდან). შესაბამისად, უნდა არსებობდეს, უწყვეტი კავშირი განათლების სხვადასხვა საფეხურებს შორის, რათა მოხდეს ბავშვის მომავალთან დაკავშირებული ნაბიჯების სათანადოდ დაგეგმვა, მისი ინდივიდუალური ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

პროფესიული განათლების მიღება საქართველოში შესაძლებელია სავალდებულო განათლების (საბაზო საფეხურის) დასრულების შემდეგ. დღესდღეობით, პროფესიული განათლება საქართველოში რეფორმირების პროცესშია და მისი განვითარების მიმართულება ითვალისწინებს ინკლუზიურობის პრინციპებს. საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში (2013-2020) ხაზგასმით არის აღნიშნული პროფესიული განათლების სივრცეში სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის მნიშვნელობა: მოსახლეობის ნებისმიერი წევრის მომზადება სრული პროფესიული და პიროვნული განვითარების, სამართლიანი შესაძლებლობებისა და მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებისა თუ თვითდასაქმებისთვის (ნ.რუხაძე 2016).

2013 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში, დაინერგა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის ახალი მექანიზმი. ჩარიცხვის ახალი პროცედურა, გულისხმობს აპლიკანტისათვის საინტერესო მაქსიმუმ სამი პროფესიის მოსინჯვის შესაძლებლობის უზრუნველყოფას, არჩევანს აპლიკანტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდთან და მშობლებთან/მეურვესთან მოსინჯვის პროცესის ანალიზის საფუძველზე აკეთებს. აღნიშნული პროცედურა განათლების სისტემისათვის წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან ზრდის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას. მიუხედავად აღნიშნული შესაძლებლობისა, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებისთვის პროფესიულ განათლებაში

ჩარცხვის არსებული პროცედურები ნაკლებად არის მორგებული. მათთვის, ხშირ შემთხვევაში, რთულდება ერთი ვიზიტის პირობებში უცხო გარემოში პროფესიის მოსინჯვა, რაც შესაძლოა განათლების მიღმა დარჩენის რისკს ქმნიდეს. შესაბამისად, როგორც ეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის დროს გამოიკვეთა, სათანადოდ დაგეგმილი ტრანზიცია არის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებისათვის გააგრძელონ განათლების მიღება შემდგომ საფეხურებზე და აღნიშნული პროცესი მინიმალური სტრესის პირობებში განხორციელდეს. საგულისხმოა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ორგანიზაცია „Save the Children“ მხარდაჭერით, შეიმუშავა ინკლუზიური პროფესიული განათლების მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიული ორიენტაციის პროცესს, რომელიც აპლიკანტებს ინდივიდუალურად მორგებული და წინასწარ განსაზღვრული გეგმის საფუძველზე, საკუთარ ინტერესებში გარკვევას და განათლების მომავალი საფეხურის დაგეგმვის შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვანი იქნება აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებისათვის.

პროფესიული განათლების დაფინანსების წესი ითვალისწინებს, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თითოეული პირისათვის სტანდარტულ ვაუჩერზე 1000-ლარიან დანამატს (კვარტალში ერთხელ). მოცემული რესურსი ხმარდება შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალურ მხარდაჭერას. კონკრეტულად ეს შეიძლება იყოს ასისტენტი, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი, ქესტური ენის თარჯიმანი, სახლიდან კოლეჯში ტრანსპორტირება და სხვა. თითქმის ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სადაც სსსმ/შშმ პირი იღებს განათლებას მუშაობენ ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და სასწავლო პროცესის ასისტენტები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროფესიულ განათლებაში იკვეთება სათანადო სერვისები, რაც შესაძლოა მიზანმიმართულად და ეფექტურად იქნას გამოყენებული აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების კარგად ორგანიზებული ტრანზიციის პროცესის უზრუნველსაყოფად.

2. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა განათლების შემდგომ საფეხურზე ტრანზიციის არსებული გამოცდილება და გამოწვევები

ტრანზიციასთან დაკავშირებით, საქართველოს კონტექსტში არსებული სიტუციის მიმოხილვის მიზნით ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი:

- სჯარო სკოლის სპეციალურ მასწავლებლებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე დღის ცენტრის სპეციალისტებთან, რომელთაც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ;
- ინკლუზიური განათლების სფეროში მომუშავე ექსპერტებთან;
- აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდების მშობლებთან;

ფოკუს ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა იმის გამოკვეთა, თუ რამდენად არსებობს საქართველოში აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა ზოგადი განათლების სისტემიდან პროფესიულ განათლებაში ტრანზიტის თანმიმდევრული, დაგეგმილი და მწყობრი მექანიზმები, რა

ადამიანური და მატერიალური რესურსი არსებობს სკოლაში/დღის ცენტრში/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებთან მიმართებით; რა არის ის განსაკუთრებული სპეციფიკა, რომელიც აუტიზმის სპექტრის აშლილობას ახლავს და რაც შესაძლოა მნიშვნელოვან გამოწვევად იქცეს მოზარდების პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის დროს, რა შეიძლება იქნეს გათვალისწინებული მეთოდოლოგიაში, რომელიც განათლების შემგომ საფეხურზე ტრანზიციის პროცესს შეეხება.

2.1 სჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე დღის ცენტრის სპეციალისტების მოსაზრებები.

სპეციალურ მასწავლებლებთან და დღის ცენტრის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ ზოგადი განათლების საფეხურზე არ არსებობს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდების ტრანზიციასთან დაკავშირებული მიზანმიმართული პროგრამა. სპეციალური მასწავლებლების თქმით, ხშირად აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლები თავად ცდილობენ კერძო ინიციატივების ფარგლებში დაუგეგმონ მოზარდს მომავალი ნაბიჯები, პირადი კონტაქტებით მოიპოვებენ საჭირო ინფორმაციას. სკოლისა და დღის ცენტრის სპეციალისტების თქმით, ასევე არ არის სათანადო კომუნიკაცია ზოგადი განათლებისა და პროფესიული განათლების საფეხურებს შორის. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ უნდა გაიზარდოს მშობლებისა და სკოლების ინფორმირება პროფესიული პროგრამების, კოლეჯების და ზოგადად, სსსმ/მშმ პირების პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შესახებ.

„ ხშირად არც კი ვიცით რა პროფესიები ისწავლება პროფესიულ კოლეჯებში, კერძოდ ვის უნდა მიაკითხოს მშობელმა, თუკი მისი შვილის პროფესიული განათლებით არის დაინტერესებული,“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე სპეციალური მასწავლებელი).

სპეციალური მასწავლებლების მოსაზრებით, საჭიროა მოხდეს გაცნობიერება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დაგეგმილი ტრანზიციის აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისათვის. არსებითია, პროცესი მორგებული იყოს კონკრეტულად თითოეულ ბავშვზე; მოდელი, რომელიც შეიქმნება არ უნდა იყოს ხისტ პროცედურაზე დაფუძნებული და გარკვეული ლავირების საშუალებას უნდა იძლეოდეს. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებთან მუშაობის დროს გასათვალისწინებელია დროის ფაქტორი, მომზადება და ახალ გარემოსთან შეგუება ეტაპობრივად, ნელ-ნელა უნდა განხორციელდეს.

სკოლების/დღის ცენტრების მხრიდან გასაძლიერებელია კომუნიკაცია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან რათა პროფესიების და კოლეჯში არსებული სერვისების შესახებ მეტი ინფორმაცია იყოს შეთავაზებული. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროა მშობლისთვისაც, რომელთაც ხშირ შემთხვევაში, მომატებული აქვთ შფოთი, რადგან ვერ ხედავენ შვილის მომავლს.

„ ჩვენ ვგეგმავთ განვახორციელოთ ვიზიტები პროფესიულ სასწავლებლებში, როდესაც ჩვენი აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბენეფიციარები ამ ეტაპს მიუახლოვდებიან, თუმცა, რესურსებია საჭირო პროცესის გამართულად დაგეგმვისა და ორგანიზებისათვის,“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე).

სპეციალისტების ნაწილი თვლის, რომ გამოწვევები, რაც ტრანზიციის პროცესში შეიძლება შეიქმნას სისტემურ დონეზე, უკავშირდება განათლების სხვადასხვა საფეხურებს შორის

თანამშრომლობის საკანონმდებლო საფუძვლების არ არსებობას. საჭიროა მკაფიოდ განსაზღვრული ვალდებულებები, რათა მხარეთა კოლაბორაცია შედგეს. სპეციალისტების მეორე ნაწილი, ყურადღებას ამახვილებს ზოგადი განათლების საფეხურზე რესურსების სიმწირეზე. სპეციალური მასწავლებლების მოსაზრებით, თუკი ტრანზიციის პროცესის ინიცირება და ორგანიზება სპეციალური მასწავლებლის ვალდებულება უნდა იყოს, ეს მათგან მეტ დროით რესურსს მოითხოვს და საჭირო იქნება მონეტარული პოლიტიკის გადახედვა, განსაკუთრებით ინტეგრირებულ კლასებში მომუშავე სპეციალისტების მიმართ. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიერ, ყურადღება გამახვილდა საქართველოში აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე და ზოგადად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის არ არსებობაზეც, კერძოდ, საუბარია ინფორმაციის უწყვეტობის პრინციპზე, როდესაც ერთ სისტემაში შეფასებული ბავშვი არ საჭიროებს თავიდან გადაფასებას განათლების შემდგომ საფეხურებზე. ამჟამად არსებული სისტემის ფარგლებში, არ ჩანს ბავშვის მიერ განვლილი განვითარების გზა. ტრანზიციის პროცესში დროის დაზოგვისა და მეტი ეფექტურობისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტრონული პლატფორმების განვითარება, სადაც აუტიზმის სპექტრის მქონე თითოეული ბავშვის შემთხვევა იქნება სრულად წარმოდგენილი, პერსონალური ინფორმაციის დაცვისა და სათანადო წესების შესაბამისად. სპეციალისტები ასევე ადასტურებენ, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, საჭირო იქნება სპეციალური მასწავლებლების გადამზადება, რათა შეძლონ ტრანზიციის პროცესში მოსწავლეების ინტერსების გამოკვეთა, შერჩეულ პროფესიასთან მიმართებით ბავშვის ძლიერი მხარეების განსაზღვრა, რაც ფასდაუდებელი ინფორმაცია იქნება მიმღები დაწესებულებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისას.

„ ჩვენ ხშირად დამამთავრებელ კლასებში კვლავ აქტიურად ვმუშაობთ აკადემიური უნარების განვითარებაზე აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებთან; ალბათ, საჭიროა გავაფართოვოთ ჩვენი მუშაობის სპექტრი, დრო მეტად დავუთმოთ ფუნქციური უნარების განვითარებას, რაც ბავშვის კონკრეტულ ინტერსებთან და კონკრეტულ პროფესიასთან იქნება დაკავშირებული, თუმცა, რასაკვირველია გვესმის, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ყველა ბავშვი არ აირჩევს პროფესიულ განათლებას, მომავლის ხედვა და გეგმა ნებისმიერ მათგანს სჭირდება, თუნდაც ეს არ იყოს ბმაში პროფესიის არჩევასთან და ჩვენ უნდა გვეკონდეს მხარდაჭერის როლი ამ პროცესში,“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე).

2.2 ინკლუზიური განათლების სფეროში მომუშავე ექპერტების მოსაზრებები

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს ნეიროფსიქოლოგებმა, ფსიქოლოგმა და ოკუპაციურმა თერაპევტებმა. მსჯელობის დროს, მათი მხრიდან ყურადღება გამახვილდა ანალოგიურ საკითხებზე, რაც სპეციალური მასწავლებლების ფოკუს ჯგუფის დროს აღინიშნა, განსაკუთრებით კი, ტრანზიციის პროცესში ჩართული პირების სათანადო კომპეტენციებით აღჭურვის აუცილებლობაზე. აღნიშნული ფოკუს ჯგუფი საგულისხმო აღმოჩნდა თავად ტრანზიციის მოდელის სტრუქტურის, ჩართული მხარეებისა და მათი ვალდებულებების განხილვის კუთხით.

ექსპერტების მოსაზრებით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების ტრანზიციის მეთოდოლოგიის არსებობა, არამედ, უნდა შემუშავდეს ტრანზიციის პროგრამა, თავისი დაფინანსებით და რესურსებით.

„ ტრანზიცია ძალიან ინდივიდუალურად და სწორად უნდა დაიგეგმოს, ბავშვის უნარებიდან, შესაძლებლობებიდან და სენსორული მახასიათებლებიდან გამომდინარე. ზუსტი შეფასებაა საჭირო, მისი სურვილების იდენტიფიცირებისთვის, შესაძლებელია გაცნობითი ვიზიტები კოლეჯებში, მაგრამ ამ პროცესს სჭირდება სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ ბავშვს, არანაკლებ მნიშვნელოვანია კოლეჯი იყოს მზად დასახვედრად. შესაბამისად, ეს ყოველივე უნდა იყოს გაწერილი ტრანზიციის პროგრამაში,“ (ფოკუს ჯგუფის მონაწილე).

ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით, ერთიანი ტრანზიციის პროგრამის არსებობა, ხელს შეუწყობს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებისთვის არსებული სხვადასხვა სერვისის კონსოლიდირებულ მუშაობას, კონკრეტულად, როდესაც მიზანი იქნება ცხადი, თუ რა არის ბავშვის ინტერესი, სხვადასხვა სერვისებიც შესაბამისი უნარების განვითარებაზე იქნება კონცენტრირებული. მაგალითისათვის მოყვანილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის „აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო პროგრამა“, რომელიც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებისათვის თერაპიას აფინანსებს. ტრანზიციის პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია თერაპია კიდევ უფრო მიმართული გახდეს კონკრეტული პროფესიისათვის მზადებისკენ.

ყურადღება გამახვილდა პროფესიული განათლების მასშტაბებზე, ბავშვისათვის საინტერესო პროფესია შეიძლება რამდენიმე კოლეჯის მიერ იყოს შეთავაზებული/სხვადასხვა პროფესია სხვადასხვა კოლეჯში ისწავლებოდეს; შესაბამისად, ტრანზიციის პროგრამის ნაწილი უნდა იყოს არა მხოლოდ სკოლა (სპეციალური მასწავლებლები, ინდივიდუალური ასისტენი) და კოლეჯი (ინკლუზიური განათლების სპეციალისტები), არამედ შესაქმნელია გარე მაკოორდინირებელი რგოლი, რომელიც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე კონკრეტული ბავშვის შემთხვევის კოორდინირებას მოახდენს, იქნება პასუხისმგებელი სკოლისა და კოლეჯის უწყვეტ დიალოგზე, ტრანზიციის გეგმის შემუშავების კოორდინირებაზე, მოსწავლის ინტერესების შესაფასებლად საჭირო ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე. ჯგუფის რამდენიმე წევრის მიერ დაზუსტდა, რომ, თუკი ტრანზიციის მოდელი გაითვალისწინებს შემთხვევების მაკოორდინირებელ გარე ერთეულის არსებობას, ეს ფუნქცია ხელოვნურად არ უნდა მიებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომელიც აღნიშნული მასშტაბის სამუშაოს დღეს არსებული რესურსით თავს ვერ გაართმევს. არსებული მიდგომა ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, შესაძლოა სახელმწიფოს ძვირი და რესურსული მოეჩვენოს, შესაბამისად, შემთხვევის მაკოორდინირებელის ფუნქცია მოდელში შესაძლოა სკოლის სპეციალურ მასწავლებელს დაეკისროს, რომელსაც ამისათვის დამატებითი დრო, და შესაბამისად, ანაზღაურება დასჭირდება. თუკი, მოდელი მართლაც გადაიხრება სკოლის, როგორც გამშვები დაწესებულების წამყვან როლზე, გასააზრებელი იქნება რეალობაში არსებული მწირი ადამიანური კაპიტალი. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების ტრანზიციის ეტაპობრივ დაგეგმვას, ინტერესების გამოკვეთას, კოლეჯებთან კომუნიკაციას, ვიზიტებს, შემაჯამებელი დოკუმენტების შექმნას, მნიშვნელოვანი რესურსი დასჭირდება, რაც

თავისთავად სკოლის გაძლიერების საჭიროებას აჩენს. სპეციალისტების მოსაზრებით, ტრანზიციის პროგრამის საკვანძო საკითხი ინტერესების შეფასებაა. ისმის კითხვა: ვინ აკეთებს ამას და რა ინსტრუმენტით? სფეროს ექსპერტები აღნიშნულ საკითხსაც სკოლის ფუნქციად ხედავენ - იქ მომუშავე სპეციალისტებისთვის მომზადებული უნდა იყოს მოზარდის ინტერესების გამოკვეთის მეთოდოლოგია და ისინი უნდა გადაშადნენ აღნიშნული მეთოდოლოგიის პრაქტიკაში გამოყენების მიმართულებით. ასევე, უნდა გაიზარდოს კოლეჯების სპეციალისტების კვალიფიკაცია, რათა მათ შეძლონ სკოლისაგან მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრება და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირისათვის თოთოეული პროცესის სათანადოდ დაგეგმა. მათი ანაზღაურების პაკეტშიც უნდა შედიოდეს პროფესიული ორიენტაციისა და კოლეჯში ჩარიცხვამდე აპლიკანტებთან მუშაობის კომპონენტი.

„ტრანზიციის პროცესში განყენებული რგოლის არსებობა, შეიძლება არ იყოს გამართლებული; პასუხისმგებელი ტრანზიციის გეგმის შემუშავებაზე და მშობლებთან და გარე სერვისებთან კომუნიკაციაზე, უნდა იყოს სკოლა, კერძოდ, სპეციალისტი, რომელიც ბავშვს ყველაზე კარგად იცნობს. ინტერესების გამოკვლევას სპეციფიური კვალიფიკაცია სჭირდება. ვინ უნდა გააკეთოს ინტერესების გამოკვლევა? უპრიანია არსებობდეს, მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებაც უნდა შეძლოს სკოლის სპეციალურმა მასწავლებელმა. დასაშვებია, რომ შექმნილი მეთოდოლოგიით სკოლის გარეთ არსებული სერვის-პროვაიდერებიც მუშაობდნენ,, (ფოკუს ჯგუფის მონაწილე).

ექსპერტების მიერ აღნიშნა მიმღები დაწესებულების როლიც; მათი თქმით, არსებობს პრაქტიკა, როდესაც კოლეჯები პროფესიული ორიენტაციის მიზნით ხვდებიან მოსწავლეებს, მაგრამ რამდენად სათანადოდ ხდება შეხვედრის ორგანიზება, ხორციელდება, თუ არა რეფლექსია მიღებულ გამოცდილებაზე და საბოლოო ჯამში ვინ აერთიანებს ამ ინფორმაციას, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე პირი ინფორმირებულ გადაწყვეტილებამდე მივიდეს, ცხადი არ არის.

„ცალ-ცალკე თითქოს ყველა მუშაობს მოსწავლესთან, მაგრამ ერთიანად ბავშვის შესახებ არ ხდება ინფორმაციის თავმოყრა და გაანალიზება, ტრანზიციის მოდელმა/პროგრამამ ამ ამოცანას უნდა გაართვას თავი; წინააღმდეგ შემთხვევაში, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირის ტრანზიციის პროცესის ხარისხზე ვერ ვისაუბრებთ ,, (ფოკუს ჯგუფის მონაწილე).

იმ შემთხვევაში, როდესაც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეს მნიშვნელოვანი, კომპლექსური სირთულეები აქვს და მრავალმხრივ მხარდაჭერას საჭიროებს, სფეროს ექსპერტის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში უფრო მეტი აქცენტი ინდივიდუალურ ასისტენტზე უნდა გაკეთდეს, რომელიც სახლშიც და გარეთაც სათანადო ასისტირებას გაუწევს და ინდივიდს ფუნქციონირებაში შეუწყობს ხელს. სპეციალისტების მოსაზრებით, პროფესიული განათლება არ უნდა იყოს ერთადერთი გამოსავალი აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირისათვის. შესაბამისად, ტრანზიციის პროგრამების პარალელურად უნდა ვითარდებოდეს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების მხარდაჭერი მექანიზმები, რომელიც შესაძლოა პირდაპირ დასაქმების ადგილზე სწავლებას ან ნებისმერ სხვა მოთარგულ მხარდაჭერას გულისხმობდეს. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითების მსგავსად, სპეციალისტების მხრიდანაც მნიშვნელოვან საკითხად დასახელდა წინა პროფესიული

უნარების/გამჭოლი კომპეტენციების განვითარების სერვისის არსებობა, რომელიც მიზნობრივად ამზადებს პირს პროფესიული განათლებისთვის და /ან შრომის ბაზრისთვის.

2.3 აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდების მშობლების მოსაზრებები

მშობლების ჩართულობით ორგანიზებული დისკუსიის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომელიც გასათვალისწინებელია ტრანზიციის მექანიზმის შემუშავების პროცესში. პირველი საკითხი ეხება ზოგადი განათლების საფეხურზე მე-7, მე-8 კლასიდან აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებთან პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სისტემის შექმნას, რომელიც დაეფუძნება მრავალფეროვან გზებსა და მიდგომებს (მაგ.: სკოლაში შრომის გაკვეთილები, ვიზიტები კოლეჯებში, ონლაინ რესურსები პროფესიების შესახებ და სხვა). ინფორმაციის მიწოდების გზები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს. მეორე საკითხი შეეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის პროცედურის გადახედვას; ჩარიცხვის ალტერნატიული ფორმა, რომელიც შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, დაწესებულებაში ერთჯერადი ვიზიტი და პროფესიის მოსინჯვა მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში, ხშირ შემთხვევაში, არ მუშაობს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებთან. მესამე საკითხი შეეხება თავად სასწავლო პროცესის ორგანიზებას - მშობლების მოსაზრებით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებისათვის შესაძლებელი უნდა იყოს კოლეჯში გარკვეული პერიოდებით ინდივიდუალურად, მარტო ან ძალიან მცირე ჯგუფებში მუშაობა. მშობლების თქმით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდების ინტერესის გამოკვეთა, მიგნება, თუ რა არის მათთვის საინტერესო, განსაკუთრებულად რთულ ამოცანას წარმოადგენს:

„ ძალიან ბევრი რამ ვცადე, რომ გამეგო უფრო რისი ინტერესი ჰქონდა; თავიდან, დარწმუნებული ვიყავი, რომ მუსიკა იტაცებს და მივიყვანე, მალევე აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო მისი,, (ფოკუს ჯგუფის მონაწილე).

მშობლებისათვის მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა ინფორმაციის ნაკლებობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული განაწილების, შეთავაზებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ. დისკუსიაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე მოზარდის მშობელი, რომლებმაც აღწერეს, თუ როგორ შეძლეს გზის გაკვალვა და სათანადო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოძებნა პირადი კონტაქტების მეშვეობით, რადგან არ იყო სისტემური მიდგომა/მხრდააჭერა. შესაბამისად, მშობლების მოსაზრებით, საკონსულტაციო სერვისის არსებობა ტრანზიციის პროცესის ნაწილი უნდა იყოს.

მშობლები გამოწვევად ასახელებენ პროფესიული პროგრამების მრავალფეროვნების ნაკლებობას, აღმოჩნდა, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლისათვის საინტერესოა სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულება (მაგალითად მინანქარი, ხატვა და სხვა), თუმცა, კოლეჯებში იშვიათად არის წარმოდგენილი ეს პროგრამები, განსაკუთრებით რეგიონებში. აღნიშნულის გამო, მშობლებს და ბავშვებს ხშირად უწევთ იმ პროფესიის არჩევა, რომელიც უბრალოდ შეთავაზებულია მათ სახლთან ახლოს.

მშობლები განსაკუთრებული ემოციით აღნიშნავენ იმას, რომ ხშირად პროფესიული განათლება „თავშესაფარია,, მათი შვილებისათვის, რადგან, ბუნდოვანია მომავალი დასაქმების შესაძლებლობა. შესაბამისად, მათი შვილები, ზოგჯერ, ერთი პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ, ახალ პროგრამაზე იწყებენ სწავლას, არა განსაკუთრებული ინტერესის გამო, არამედ იმიტომ, რომ არ იციან რა შეიძლება იყოს შემდეგი ნაბიჯი მათ ცხოვრებაში.

„ჩემმა შვილმა დაამთავრა სწავლა, საკამოდ ინტეგრირებული იყო თავის ჯგუფში, შესაბამისად შეიტყო, რომ უმრავლესობა დასაქმდა, ჩვენ კი მისთვის სამუშაოს ვერ ვპოულობთ, ამის გამო მძიმე დეპრესია დაემართა და მედიკამენტების მიცემა გვიწევს,, (ფოკუს ჯგუფის მონაწილე).

მშობლების მხრიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანურ კაპიტალს, რომელიც არის სასწავლო პროცესში ჩართული. მათი თქმით, იგრძნობა კომპეტენციის ნაკლებობა პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და დამხარე სპეციალისტებში. რამდენიმე მშობლის მიერ მოხდა კარგი მაგალითების დემონსტრირებაც, თუ როგორ გაართვა თავი კოლეჯის კომპეტენტურმა გუნდმა მის შვილთან მუშაობას და რამდენად ეფექტური აღმოჩნდა შედეგები.

შეჯამება:

სამივე ფოკუს ჯგუფის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადია, რომ:

- შესამუშავებელია განათლების საფეხურებს შორის აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების უმტკივნეულო ტრანზიციის მექანიზმი, რომელიც იქნება მოქნილი, ინდივიდზე ცენტრირებული და დროში გაწერილი.
- ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურზე გასაძლიერებელია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პერსონალის კომპეტენცია აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა სკოლის შემდგომ საფეხურზე ტრანზიციის დაგეგმვისა და განხორციელების, მოსწავლეთა ინტერსების შეფასების საკითხებში.
- გასაძლიერებელია კომუნიკაციის მექანიზმები ზოგადი და პროფესიული განათლების სისტემებს შორის.
- მნიშვნელოვანია ტრანზიციის მექანიზმი გამყარებული იყოს კანონქვემდებარე აქტებით/რეგულაციებით, რაც მის სავალდებულოდ განხორციელებას შეუწყობს ხელს.
- ზოგადი განათლების საფეხურზე/დღის ცენტრებში შესაქმნელია აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა აკადემიური და წინა-პროფესიული უნარების განვითარების პროგრამები.
- სისტემურ დონეზე შესაქმნელია აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების დასაქმების ან დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხელშემწყობი დამატებითი სერვისები, რათა პროფესიული განათლება მათი ერთადერთი არჩევანი არ იყოს.

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის მოდელი:

ტრანზიციის სენსიტიური პროცესია მასში ჩართული ყველა მხარისთვის, რადგან ის ცვლილებებს და ჩვეული მდგომარეობის ტრანსფორმაციას უკავშირდება. როგორც წესი, ტრანზიციის პროცესში სიახლისთვის ემზადება ოთხი სუბიექტი:

- მოზარდი
- ოჯახი
- მიმღები დაწესებულება, სადაც გადადის მოზარდი
- გამშვები დაწესებულება, საიდანაც გადადის მოზარდი
(ადრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში, 2018)



როდის უნდა დაიწყოს ტრანზიციის პროცესი?

ტრანზიციის არა რაიმე ერთჯერად მოვლენას, არამედ განგრძობით და საკმაოდ კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს. აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდის ცხოვრების შემდეგ ეტაპზე ტრანზიციისათვის მზადება მანამდე უნდა დაიწყოს, სანამ ცხოვრების მიმდინარე ეტაპი დასრულდება და მოზარდი ახალი ეტაპის პირისპირ აღმოჩნდება; ტრანზიციის პროცესი მოზარდის ახალ გარემოში გადასვლით უნდა გაგრძელდეს და ამ გარემოსთან შეგუების შემდეგ დასრულდეს.

ევროპული სააგენტოს (2006) რეკომენდაციის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანზიციის პროცესის ინიცირება, საუკეთესო შემთხვევაში, სავალდებულო განათლების დასრულებამდე 3 წლით ადრე უნდა დაიწყოს (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების პროცედურები).

მე-7 კლასი ქვეყანაში სავალდებულო განათლების ერთი საფეხურიდან მეორეზე, დაწყებითი განათლების საფეხურიდან საბაზო განათლების საფეხურზე, გადასვლის დასაწყისია. ეს საფეხური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილების ეტაპია, რომელსაც ხშირ შემთხვევაში, თან ახლავს: დამრიგებლის ცვლა, ახალი საგნებისა და მასწავლებლების გაცნობა. რეკომენდებულია გადასვლის ეს ეტაპი მიჩნეული იყოს ტრანზიციის პროცესის დაწყების მომენტად, როდესაც ერთი მხრივ მოსწავლე და ოჯახი, ხოლო მეორე მხრივ, სკოლის პედაგოგები და სპეციალისტები რესურსების მობილიზებას ახდენენ, რათა მოსწავლეს მომავალი ცხოვრების განსაზღვრის პროცესში დაეხმარონ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების პროცედურები).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლის ცხოვრების შემდეგი ეტაპისთვის მზადება სკოლაში ყოფნისას განათლების იმ საფეხურის

მიმდინარეობისას იწყება, რომლის დასრულების შემდეგაც გადაინაცვლებს მოზარდი ახალ საგანმანათლებლო სივრცეში ან ცხოვრების შემდეგ ეტაპზე. შესაბამისად, ეს ზოგიერთ შემთხვევაში საბაზო, ზოგიერთ შემთხვევაში კი საშუალო საფეხურს უკავშირდება, იმის გათვალისწინებით აგრძელებს მოზარდი განათლებას საშუალო საფეხურზე, თუ სკოლას საბაზო საფეხურით ასრულებს.

ამავდროულად, მოზარდის ცხოვრების შემდეგი ეტაპისთვის მზადება, არ უნდა გადავადდეს მიმდინარე ეტაპის დასასრულისთვის. მაგალითად, საბაზო ან საშუალო საფეხურის ბოლო სემესტრისთვის; არამედ, ტრანზიციისაზე ზრუნვა უწყვეტად უნდა გასდევდეს აღნიშნულ საფეხურს და მიმდინარე პროცესის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტრანზიციის საკითხებისადმი დათმობილი დრო არასაკმარისი აღმოჩნდება მოზარდისთვის, შედეგი კი - არაეფექტური.

ტრანზიციის პირველი ეტაპის ამოცანები

დამატებით, აუტიზმის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე მოზარდებს ხშირად მეტი დრო სჭირდებათ ცვლილებებისადმი მოსამზადებლად და მზაობის გასავითარებლად. იმისათვის, რომ მოზარდებისთვის, მოსალოდნელი ცვლილებები შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელდეს, ცვლილებებთან შეგუება კი მინიმალური სტრესის პირობებში მოხდეს, მნიშვნელოვანია, მოზარდების წინასწარი შემზადება და ფრთხილი ინფორმირება სამომავლო ცვლილებებზე და მხარდაჭერა იმაში, რომ მათ სრულად წარმოიდგინონ და გააცნობიერონ, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში.

შესაბამისად, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდის ტრანზიციის პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა ვლინდება, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული:

- (ა) მოზარდის შემზადება, რომ ცხოვრების მიმდინარე ეტაპი შესაძლებელია დასრულდეს, შეიცვალოს;
- (ბ) მოზარდის თვითგამორკვევა, მისი სურვილების, ინტერესების გამოვლენა, რომელთა რეალიზება ცხოვრების შემდეგ ეტაპს შეიძლება უკავშირდებოდეს;
- (გ) მოზარდის შემზადება ცხოვრების შემდეგი ეტაპის მიმართ.

აღნიშნული ამოცანების გაანალიზების შემთხვევაში, სრულიად ნათელი ხდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ტრანზიციისადმი მზადება შეძლებისდაგვარად ადრე დაიწყოს და არ მოხდეს მისი გადავადება.

ასევე მნიშვნელოვანია, მოზარდის ტრანზიციის პროცესში ჩართულმა პირებმა (სპეციალისტებმა და ოჯახის წევრებმა) ცალ-ცალკე ამოცანებად დაისახონ ტრანზიციასთან დაკავშირებული ზემოთ მოცემული კომპონენტები და მიზანმიმართულად იმუშაონ თითოეული ამოცანის მიმართულებით. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე ამოცანა არასრულად, ან არაეფექტურად განხორციელდა, ეს საბოლოო შედეგზე დრამატულ გავლენას მოახდენს.

აღნიშნული ამოცანების მიმართულებით მუშაობა იმ პერიოდს უნდა მოიცავდეს, როდესაც მოზარდი ჯერ კიდევ თავის ნაცნობ გარემოში და ნაცნობ როლში იმყოფება.

მომზადება ცხოვრების შემდეგი ეტაპისადმი

მნიშვნელოვანია, მოზარდის ტრანზიციის პროცესში ჩართულმა პირებმა (სპეციალისტებმა და ოჯახის წევრებმა) მრავალფეროვანი მეთოდები და მიდგომები გამოიყენონ, იმისათვის, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდმა გააცნობიეროს და სწორი წარმოდგენა შეიქმნას შემდეგი მიმართულებით:

- (ა) ცხოვრების მიმდინარე ეტაპი შესაძლებელია დასრულდეს, შეიცვალოს;
- (ბ) როგორი მინდა რომ იყოს ჩემი ცხოვრების შემდეგი ეტაპი - რა მაინტერესებს, რა შემიძლია;
- (გ) როგორ იქნება ჩემი ცხოვრების შემდეგი ეტაპი და რის შესრულება მომიწევს მე.

დაუშვებელია, სპეციალისტებს და მშობლებს ჰქონდეთ მოლოდინი, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდი აღნიშნულ საკითხებს თავისთავად გააცნობიერებს, ან აღნიშნული ინსაითი თუ მზაობა მათთან ერთჯერადად განხორციელებული აქტივობის შედეგად დადგება. ეს ასე რომ იყოს, მაშინ არც ხანგრძლივი დრო იქნებოდა ასეთი გადამწყვეტი.

ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთა ინფორმაციის აღქმის და გადამუშავების თავისებურებები.

როგორც ცნობილია, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებს აქვთ სირთულეები წარმოიდგინონ ის, რაც მათ ჯერ განცდილი და გამოცდილებაში მიღებული არ აქვთ; ასევე აქვთ სირთულეები წარმოიდგინონ საკუთარი თავი აღნიშნულ სიტუაციაში; შესაბამისად, მათ სჭირდებათ, წინასწარ და შეძლებისდაგვარად ზედმიწევნით იცოდნენ მოვლენათა შესაძლო განვითარება და ის, თუ რის განხორციელება მოუწევთ თავად აღნიშნულ სიტუაციაში; ამავდროულად, სანამ ისინი სიახლის პირისპირ უშუალოდ აღმოჩნდებიან და ახალ კონტექსტში თანამონაწილეობა მოუწევთ, ის მათთვის უსაფრთხო ფორმატში უნდა იყოს მიწოდებული; აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებმა მრავალჯერადად უნდა აღიქვან და განიცადონ ახალი ინფორმაცია, იმისათვის, რომ მათ მოცემულ სიახლეზე შესაბამისი წარმოდგენა ჩამოუყალიბდეთ და გაუჩნდეთ მზაობა მის მიმართ.

მაშასადამე, ზემოთ აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთან ტრანზიციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშობა მოითხოვს:

- (ა) ინფორმაციის მრავალჯერად მიწოდებას;
- (ბ) ინფორმაციის მულტიმოდალური გზით მიწოდებას;
- (გ) მიწოდებულ ინფორმაციაზე განმეორებით რეფლექსიას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოზარდის ტრანზიციის პროცესში ჩართულმა პირებმა (სპეციალისტებმა და ოჯახის წევრებმა) მრავალფეროვანი მეთოდები და მიდგომები განმეორებითად უნდა გამოიყენონ სასურველი შედეგის მისაღწევად. ტრანზიციის პროცესში ჩართულ პირებს უნდა ახსოვდეთ, რომ ტრანზიციის პროცესი ემსახურება ახალი გარემოს მიმართ ნდობის და უსაფრთხოების განცდის ფორმირებას და შესაბამისად, ყოველი მოქმედება დესენსიტიზაციის ფრთხილი მიდგომით უნდა განხორციელდეს (ადრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში, 2018). მოსალოდნელი სიახლის გასაცნობად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს მრავალფეროვანი და მულტიმოდალური, მიწოდებული როგორც ვერბალური, ვიზუალური, ისე მოტორული გზებით და აქტივობებით.

შესაძლო მეთოდებია: **სოციალური ისტორიების გამოყენება** - თემატური სიუჟეტური, დასურათებული მოთხრობების შექმნა, მათი თვალიერება, კითხვა, თხრობა, განხილვა, გათამაშება და სხვ.

ამ მეთოდით მოზარდს გაუჩნდება მზაობა იმის მიმართ, რომ გარკვეული დროის შემდეგ მისი ყოველდღიურობა იცვლება, მას მოუწევს სკოლის დასრულება, დღის რუტინის ცვლილება, ახალ გარემოსთან შეხება, ახალი ნაცნობების შექმნა, ახალი საქმიანობების განხორციელება და ა.შ. ასე ის გაეცნობა როგორი იქნება ახალი გარემო, რა მახასიათებლები ექნება მას, ვინ იქნება ახალ გარემოში ჩართული და ა.შ.

რა არის სოციალური ისტორია?

სოციალური ისტორიები განმარტავენ სოციალურ სიტუაციებს და ეხმარება აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს გამოიმუშაონ სიტუაციის შესაბამისი ქცევა და რეაქცია. სოციალური ისტორიების დახმარებით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდი სწავლობს სოციალურ ქცევას ისეთ გარემოში როგორცაა საგანმანათლებლო გარემო, სუპერმარკეტი, საავადმყოფო, გასართობი მოედანი და სხვ. სოციალური ისტორია შესაძლებელია შეიქმნას ნებისმიერ სიტუაციაზე.

სოციალური ისტორიებით განიმარტება და აღიწერება:

- ⇒ კონტექსტი / სიტუაცია და მისი მახასიათებლები;
- ⇒ რა ხდება / მოხდება მოცემულ სიტუაციაში;
- ⇒ რა მოქმედებები ან ქცევა არის მოსალოდნელი მოცემულ სიტუაციაში მოზარდისგან.

ეს მეთოდი ეხმარება მოზარდს გაითავისოს გარემო და მისი მახასიათებლები და გაეცნოს იმ მოვლენებს, რომლებიც მოცემულ გარემოში შესაძლებელია განვითარდეს.

სოციალური ისტორია იწერება ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე. მას როგორც წესი ქმნის ბავშვთან მომუშავე ის სპეციალისტი, რომელიც იცნობს ბავშვს, მის საჭიროებებს და იმ კონტექსტს, რომლისთვისაც ხდება ბავშვის შემზადება.

ბავშვისთვის ინდივიდუალურად შექმნილი ისტორია იწერება პირველ ან მესამე პირში, წარსულ, აწმყო ან მომავალ დროში. მაგ. „მე დავიწყებ პროფესიულ სასწავლებელში სიარულს“, ან „მე მივდივარ გამოცდაზე“.

სოციალური ისტორია თავისი სინტაქსურ, გრამატიკული ფორმით უნდა იყოს ბავშვის ასაკის და ენის განვითარების შესაბამისი. სოციალურ ისტორიას უნდა ჰქონდეს ილუსტრაციები, ის შეიძლება იყოს დაბეჭდილი ფორმით, ან ელექტრონული. მას შემდეგ, რაც სპეციალისტი ქმნის სოციალურ ისტორიას, ის მას აცნობს მოზარდს, იმისათვის რომ დარწმუნდეს, რომ შექმნილი სოციალური ისტორია მოზარდისთვის გასაგებია. სოციალური ისტორიის წაკითხვა უნდა მოხდეს მანამ, სანამ აღნიშნული მოვლენა მოხდება და ასევე მისი კითხვა უნდა მოხდეს განმეორებითად. მაგ. მშობელმა სოციალური ისტორია სკოლის სასადილოში დასაშვები ქცევის შესახებ შესაძლებელია ყოველ დღე წაუკითხოს მოზარდს, სანამ ის სკოლაში წავა; მასწავლებელმა კი წაუკითხოს უშუალოდ სასადილოში წასვლამდე.

შესაძლებელია, სოციალური ისტორია თავად მოზარდმა იკითხოს ან ისაუბროს მასზე უფროსის დახმარებით. შესაძლებელია, მიზანმიმართული შეკითხვებით, უფროსმა წაახალისოს მოზარდი გაიხსენოს ის მოვლენები, რაც შესაძლებელია რომ მოხდეს და ის რეაქციები, რაც მოზარდისგან შესაძლებელია საპასუხოდ განხორციელდეს (<https://raisingchildren.net.au/autism/therapies-guide/social-stories>).

სოციალური ისტორიების შექმნა და მისი მრავალჯერადად გამოყენება ეხმარება მოზარდს იმაში, რომ უცნობი გარემო მისთვის ნელ-ნელა ნაცნობი გახდეს და გაუჩნდეს მიმღებლობა მის მიმართ.

ბავშვთან მომუშავე სპეციალისტმა შესაძლებელია რამდენიმე სოციალური ისტორიაც კი შექმნას მოზარდისთვის, საკითხის უკეთ გასაცნობად და მრავალმხრივად დასამუშავებლად.

სოციალური ისტორიის შესაძლო თემებია:

- ⇒ მალე სკოლას ვასრულებ
- ⇒ რა ხდება სკოლის დასრულების შემდეგ
- ⇒ უნდა ავირჩიო პროფესია
- ⇒ რის გაკეთება მსურს მომავალში
- ⇒ სად ვაგრძელებ სწავლას
- ⇒ როგორ ვუფლები პროფესიას
- ⇒ რა ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში
- ⇒ მე პროფესიული სტუდენტი ვხდები / როგორ უნდა გავხდე პროფესიული სტუდენტი
- ⇒ მე პროფესიული სტუდენტი ვარ
- ⇒ მე ----- (მზარეული, კომპიუტერების სპეციალისტი, ...) ვხდები
- ⇒ და ა.შ.

ამავდროულად, სპეციალისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ აღნიშნული მეთოდი შესაძლებელია სრულადაც არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ მოზარდს ამომწურავი ხედვა და სრული მზაობა ჩამოუყალიბდეს მომავლი მოვლენების მიმართ და მას დასჭირდება მომავალ გარემოსთან ფრთხილი რეალური შეხება შესაბამისი მხარდაჭერის პირობებში.

შესაბამისად, მოზარდის ცხოვრების შემდგომ ეტაპზე ტრანზიციის, ხშირად იმ გარემოში ვიზიტებს გულისხმობს, სადაც ის შემდეგ ეტაპზე გადაინაცვლებს.

მოზარდის ინტერესების გამოკვეთა

იმისათვის რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარს გაუმარტივდეს გარდაუვალ ცვლილებებთან შეგუება და მან შეძლოს საკუთარი მომავლის წარმოდგენა, მნიშვნელოვანია დროულად დაიწყოს მოზარდთან მუშაობა მისი თვითგამორკვევის და ინტერესების იდენტიფიცირების მიზნით. პრაქტიკამ აჩვენა, რომ VII-XII კლასის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ინტერესდებიან სკოლის შემდეგ ცხოვრების დაგეგმვის პროცესით, ზოგიერთ მათგანს (მე-7 თუ მე-12 კლასელს) უკვე აქვს ჩამოყალიბებული მოსაზრება მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ (მაგ.: ავტომობილის შემკეთებელი, სამკაულის დიზაინერი, ფარმაცევტი ა.შ.), ზოგიერთს კი, ამაზე ჯერ არ უფიქრია. მიუხედავად ამისა, მოსწავლეები ერთვებიან ისეთ აქტივობებში, რაც ერთი მხრივ საკუთარი თავის, ხოლო მეორე მხრივ, მათ გარშემო არსებული პროფესიული კონტექსტის შესწავლას გულისხმობს (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების პროცედურები). შესაბამისად, ტრანზიციის პროცესის განუყოფელი ეტაპია:

- (ა) პროფესიების სპექტრის გაცნობა
- (ბ) საკუთარ ინტერესებში გარკვევა

(გ) იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რაც სწავლის გაგრძელებასა და დასაქმებაში დაეხმარება. იმისათვის, რომ აღნიშნული პროცესი თანმიმდევრული იყოს და საბოლოოდ მოსწავლე ინფორმირებულ გადაწყვეტილებამდე მივიდეს იმის თაობაზე, თუ რის კეთება სურს სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, საჭიროა მისი წარმოდგენების გაფართოება არსებულ პროფესიებზე და დასაქმების შესაძლებლობებზე. მოზარდთან მომუშავე სპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს, მოზარდს რომ ამომწურავი ინფორმაცია შეექმნას ამა თუ იმ პროფესიაზე, საჭიროა მისთვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდება.

- 1. პროფესიის აღწერილობა:** ზოგადი ინფორმაცია მოცემული პროფესიის შესახებ, პროფესიის თავისებურების და მახასიათებლების შესახებ.
- 2. სამუშაო / დასაქმების ადგილები:** ინფორმაცია დასაქმების იმ ადგილების შესახებ, სადაც მუშაობენ მოცემული პროფესიის წარმომადგენლები ამ პროფესიის დაუფლების შემთხვევაში.
- 3. ძირითადი პროფესიული აქტივობები და დავალებები:** პროფესიის შემადგენელი ძირითადი აქტივობები და დავალებები რომელთა განხორციელებაც რეგულარულად ხდება აღნიშნული პროფესიის ფარგლებში; რისკ ფაქტორები, რომლებიც შესაძლებელია ახლდეს აღნიშნულ პროფესიულ აქტივობებს.
- 4. პროფესიული აქტივობებისთვის საჭირო უნარები და შესაძლებლობები:** ის უნარები, რომელთა არსებობა ან გამომუშავება / განვითარება საჭიროა იმისათვის, რომ საქმიანობები და დავალებები ეფექტურად განხორციელდეს (მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები, ფიზიკური მოთხოვნები, სენსორული ფუნქციები, წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია, ცვლილებებისადმი სენსიტიურობა)
- 5. სამუშაო გარემოს ძირითადი მახასიათებლები:** ინფორმაცია გარემოს ზოგად მახასიათებლებზე, რომელშიც სრულდება მოცემული პროფესიული საქმიანობა (ფიზიკური გარემო მახასიათებლები, სოციალური გარემო მახასიათებლები, სამუშაო სივრცე, სამუშაო დატვირთვა და სხვა პირობები)
- 6. მანქანა-დანადგარები, იარაღები და აღჭურვილობები:** ის მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და იარაღები, რომელთა საშუალებითაც ხდება მოცემული პროფესიული საქმიანობის და დავალებების განხორციელება.
- 7. ძირითადი თეორიული საკითხები:** თეორიული საკითხები, რომელთა ცოდნა მნიშვნელოვანია მოცემული პროფესიული საქმიანობების და დავალებების ეფექტურად განსახორციელებლად.
- 8. განათლების შესაძლებლობები:** საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც მოცემული პროფესიის დაუფლება შესაძლებელია; ინფორმაცია სასწავლო პროცესის ხანგრძლივობაზე, პირობებზე და სხვ.

ამავდროულად, გადამწყვეტ გავლენას მოახდენს ის, თუ რა გზებით მოხდება მოსწავლისთვის აღნიშნული ინფორმაციის გადაცემა. პროფესიათა გაცნობის არაერთი შესაძლებლობა

არსებობს, მთავარია კონკრეტული მეთოდი / მეთოდები მოზარდის საჭიროებების და მდგომარეობის გათვალისწინებით ფრთხილად შეირჩეს. რასაკვირველია, ეფექტურია ინფორმაციის გაცნობა მულტიმოდალური გზებითა და საშუალებებით მოხდეს. შესაძლო მეთოდებია:

- ⇒ პროფესიის შესახებ ინფორმაციის ვერბალურად მიღება - შეხვედრა პროფესიის წარმომადგენელთან, საუბარი პროფესიაზე;
- ⇒ პროფესიის ამსახველი ბარათების, ვიდეო რგოლების გაცნობა;
- ⇒ პროფესიული აქტივობების რეალურ გარემოში დაკვირვება;
- ⇒ პროფესიული აქტივობების პრაქტიკული მოსინჯვა, უშუალოდ განხორციელება.

დასაშვებია, მოსწავლესთან პროფესიათა გაცნობის რამდენიმე გზა იყოს ერთდროულად ან პარალელურად გამოყენებული. მთავარია, მას მაქსიმალურად სრულფასოვანი წარმოდგენა შეექმნას მოცემულ პროფესიაზე, რათა შეძლოს რეფლექსია იმაზე, თუ რამდენად აინტერესებს მას ეს პროფესია და ისურვებდა მოცემული საქმიანობების სამომავლოდ განხორციელებას.

შეხვედრა პროფესიის წარმომადგენელთან და საუბარი პროფესიაზე

ეს პროფესიის გაცნობის საკმაოდ ფართოდ გავრცელებული გზაა და საჯარო სკოლები მას საკმაოდ ხშირად მიმართავენ. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდისთვის აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია არ იყოს საკმარისი სრულფასოვანი ინფორმაციის მისაღებად, თუკი, ამ შემთხვევაში ინფორმაცია მხოლოდ ვერბალური გზით იქნება გაცემული და მას ვიზუალური გამოსახულები არ ექნება თანდართული. მოწვეულმა სპეციალისტმა შესაძლებელია, ინფორმაცია გაამდიდროს ვიზუალური მასალით, გამოიყენოს ფოტო, ვიდეო მასალა საკუთარი არქივიდან და ამ გზით შეუქმნას მოზარდებს მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი ხედვა პროფესიაზე - მის მახასიათებლებზე, დასაქმების ადგილებზე, დასაქმების გარემოზე, პირობებზე, შემადგენელ საქმიანობებზე, საჭირო უნარებზე, სავალდებულო ხელსაწყოებზე, მანქანა დანადგარებზე. იმ შემთხვევაში, თუკი მოწვეული პროფესიონალის მიერ წარდგენილი ინფორმაცია ვერ მოიცავს ყველა ზემოთჩამოთვლილ კომპონენტს, მასთან შეხვედრა მაინც მნიშვნელოვანია, რადგან ამან შესაძლებელია ხელი შეუწყოს ინტერესის აღძვრას მოზარდებში აღნიშნული პროფესიის მიმართ და გააჩინოს მასში უფრო დეტალურად გარკვევის მოტივაცია სხვა გზებისა და საშუალებების გამოყენებით.

იმისათვის, რომ პროფესიონალის მიერ წარდგენილი ინფორმაცია იყოს მისაწვდომი აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებისთვის, მნიშვნელოვანია, აღნიშნული სპეციალისტის წინასწარი შემზადება მოცემული შეხვედრისთვის და შეხვედრის ფასილიტაცია იმ სპეციალისტის მიერ, რომელიც საუკეთესოდ იცნობს პროფესიით დაინტერესებულ მოზარდს.

პროფესიის ამსახველი ბარათების,ვიდეო რგოლების გაცნობა

პროფესიის გაცნობა მისი ამსახველი ბარათებითა და ვიდეო რგოლებით კიდევ უფრო აახლოებს მოზარდს მოცემულ პროფესიასთან. თვალსაჩინო გამოსახულება მოზარდს უშუალოდ აწვდის იმ ინფორმაციას, რაც მას უნდა წარმოედგინა, თუკი ინფორმაცია მხოლოდ ვერბალური გზით იქნებოდა მიწოდებული, ეს კი როგორც ცნობილია გამოწვევაა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებისთვის.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც, საჭიროა ვიზუალური მასალის (ვიდეო რგოლის, სერიული ბარათების) იმგვარად შექმნა, რომ ისინი შეძლებისდაგვარად ამომწურავად ასახავდნენ ინფორმაციას კონკრეტულ პროფესიაზე, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით.

სრულიად შესაძლებელია, აღნიშნული ბარათები დაამზადოს ან ვიდეო რგოლი პროფესიაზე მოიძიოს იმ სპეციალისტმა საჯარო სკოლიდან, დღის ცენტრიდან რომელიც ამზადებს მოზარდს ცხოვრების შემდეგი ეტაპისთვის. თუმცა, მიზანშეწონილია, აღნიშნული ტიპის მასალა დამზადდეს უშუალოდ შესაბამისი პროფესიის წარმომადგენლის ჩართულობით. ამ გზით სპეციალისტი, რომელიც არ არის აღნიშნული სფეროს წარმომადგენელი დაზღვეული იქნება გარკვეული შეცდომებისგან, არასწორი ინტერპრეტაციებისგან ან აქცენტებისგან. იდეალურ შემთხვევაში, აღნიშნული მასალა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა მუშავდებოდეს, რადგან ამ სივრცეში არის შესაბამისი კომპეტენცია და ინფრასტრუქტურა საინფორმაციო ბარათებისა და / ან ვიდეო-რგოლების დასამზადებლად; შემუშავებული მასალა კი ბეჭდური სახით ან ელექტრონული ფორმატით ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (ვებ-გვერდების საშუალებით).



მზარეულის პროფესია გულმხმის მომხმარებლისთვის კერძების მომზადებას, გაფორმებას და მიწოდებას.
მზარეული ამზადებს მრავალფეროვან კერძებს რეცეპტის მიხედვით.

<p>დასაქმების სფერო და შესაძლებლობები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დიდი, საშუალო და მცირე ზომის სასტუმრო 2. რესტორანი 3. კაფეები. 4. სწრაფი კვების ობიექტები. 5. სასაუზმეები. 6. მუნიციპალიტეტი. 7. სანატორიუმები და ამსიონატები. 8. საკურორტო კომპლექსები. 9. გასართობი კომპლექსები: კლუბები, კაზინოები, გემები. 10. სუპერმარკეტები. 11. საავადმყოფოები 12. სხვა ობიექტები, სადაც არის კვებითი მომსახურება. 	<p>აქტივობების შესასრულებლად საჭირო მითითებები</p> <ul style="list-style-type: none"> • ხანგრძლივად დგომა • საგნის ხელში კერპა და ზუსტი და სწრაფი მოქმედების შესრულება • კარგი და ცუდი სუნებისა და გემოს გარჩევა • საგნების ფაქტურის გარჩევა. • მარტივი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება • პროდუქტების კონტაქტის, გაზომვა, დროის დასაზღვევა
<p>სამუშაო აქტივობებისა და გარემოსთან დაკავშირებული რისკები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ხასიათი სავსეობა (დანა, მარჯული, სავსი, წყავი, სკატორი, მანძილი) 2. უსაფრთხო ტენიკა (ელექტრო დანი, ელექტრო მაცივრი) 3. ცხელი ზედაპირი და მასალა 4. ცხელი/ჩახუთული გარემო 5. ქურა 6. ალი 	

თუმცა, აღნიშნული ბარათები შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში არ აღმოჩნდეს ამომწურავი ან საკმარისი კონკრეტული მოზარდისთვის და მოზარდთან მომუშავე სპეციალისტს შესაძლებელია მოუწიოს მათი შემდგომი დამუშავება, მაგ. იმისათვის, რომ მოხდეს სამუშაო აქტივობების კიდევ უფრო დეტალურად წარმოჩენა, გარკვეული დავალებების, გარემოს მახასიათებლების ან მანქანა-დანადგარების მსხვილი რაკურსით ჩვენება უკეთესი აღქმისთვის და გააზრებისთვის.

შესაძლებელია, ასევე საჭირო გახდეს პროფესიის ამსახველი ბარათების გამოყენებით მოზარდისთვის სოციალური ისტორიის შემუშავება პროფესიის საკუთარ თავთან დაკავშირების პროცესის ხელშესაწყობად.

ის, თუ რამდენი პროფესიის წარდგენა მოუწევს სპეციალისტს მოზარდის წინაშე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შემოსაზღვრული აქვს მოზარდს თავისი ინტერესები. არ

არის გამორიცხული, რომ სპეციალისტს, თავდაპირველად რამდენიმე პროფესიის ამსახველი ბარათების გამოყენება დასჭირდეს და გამორიცხვის პრინციპით შეამციროს მათი რაოდენობა. ამისათვის, პროფესიის ამსახველი ბარათების თვალთვლებას მუდმივად უნდა მოსდევდეს რეფლექსია, დიალოგი, იმაზე, თუ რა აინტერესებს მოზარდს, რა არ აინტერესებს, ისურვებდა თუ არა საქმიანობის რეალურ გარემოში ნახვას, მოსინჯვას და სხვ.

პროფესიულ აქტივობებზე რეალურ გარემოში დაკვირვება

გამოცდილებამ ასევე აჩვენა, რომ მოსწავლეები საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენენ პროფესიულ სასწავლებელში და დასაქმების ადგილებში ვიზიტის მიმართ, სადაც შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ პროფესიას რეალურ გარემოში, დააკვირდნენ მას და ზოგიერთ შემთხვევაში გამოსცადონ კიდევ.

შესაძლებელია პროფესიულ აქტივობებს მოზარდი დააკვირდეს როგორც **(ა) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ისე (ბ) რეალური დასაქმების ადგილზე.**

ორივე შესაძლებლობა თავის მხრივ გაამდიდრებს მოზარდის წარმოდგენებს ამა-თუ-იმ პროფესიაზე.

დასაქმების ადგილზე ვიზიტი: მოზარდს შეუქმნის ყველაზე ზუსტ ინფორმაციას იმაზე, თუ როგორია ის ბუნებრივი გარემო, სადაც მას პროფესიის დაუფლების და დასაქმების შემთხვევაში მოუწევს ხანგრძლივი დროის გატარება, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ დასაქმების ადგილზე ვიზიტით არ შემოიფარგლოს მოზარდის ტრანზიციის პროცესი და ის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ან დაწესებულებებს ეწვიოს, იმისათვის, რომ გაეცნოს იმ გარემოს სადაც მისი პროფესიული მომზადება მოხდება ამ პროფესიით დაინტერესების შემთხვევაში.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტით, მოზარდს ექმნება შესაძლებლობა გაიცნოს ის გარემო, სადაც სკოლის დასრულების შემდეგ შეიძლება მოუწიოს გადმონაცვლება, იმისათვის რომ სწავლა გააგრძელოს და მისთვის საინტერესო პროფესიას დაუფლოს. მეტიც, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები იძლევა შესაძლებლობას, მოზარდი გაეცნოს რამდენიმე პროფესიას ერთდროულად, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება ამა თუ იმ პროფესიის სასარგებლოდ, თუმცა, სპეციალისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ხშირად ვერ ქმნის წარმოდგენას რეალური დასაქმების ადგილების შესახებ და ამიტომ, ვიზიტი დასაქმების ადგილზე აქტუალურობას ინარჩუნებს.

ვიზიტების დროს მოზარდი რეალურად ეცნობა იმ გარემოს, რომელიც მის სოციალურ ისტორიაში იყო აღწერილი. ვიზიტების დროს, მოზარდი ეცნობა გარემოს როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ მახასიათებლებს - კერძოდ, შენობას, სახელოსნოებს, საჯარო სივრცეებს, მისთვის ინდივიდუალურად განკუთვნილ ადგილებს; დასაქმების ადგილზე თანამშრომლებს, ან სასწავლებლის მასწავლებლებს, მხარდამჭერ სპეციალისტებს, მომავალ სტუდენტებს და სხვა პერსონალს.

შესაძლებელია დაიგეგმოს:

⇒ მშობელთან ერთად მოზარდის საორიენტაციო ხანმოკლე ვიზიტი მიმდებ დაწესებულებაში, გარემოს დათვალიერება; სამუშაო ან სასწავლო გარემოს და სხვადასხვა ფუნქციური

დანიშნულებების მქონე სივრცეების (ტუალეტი, სასადილო, ეზო) გაცნობა (საჭიროების შემთხვევაში მათი ფუნქციური გამოყენება - ტუალეტით სარგებლობა, სასადილოში კვება, ეზოში სეირნობა)

- ⇒ სასწავლებელში და / ან დასაქმების ადგილზე ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში მონაწილეობა - გამოფენა - გაყიდვა, საქველმოქმედო ღონისძიება, გამოსაშვები ღონისძიება
- ⇒ მომავალ მასწავლებლებთან და კურსელებთან გაერთიანებული შეხვედრა, ურთიერთგაცნობა სახალისო აქტივობების შესრულების გზით
- ⇒ მოზარდის დასწრება პროფესიული სასწავლებლის საგანმანათლებლო აქტივობებზე - სახელოსნოში მიმდინარე პროცესებზე
- ⇒ მოზარდის ჩართულობა მიმდინარე სასწავლო აქტივობებში უსაფრთხოების წესების წინასწარი გათვალისწინებით და დაცვით

ვიზიტისას, არსებითია, სპეციალისტმა ყურადღება მიაქციოს პროცესში მოზარდის აქტიურობის, ინტერესის თუ მოტივაციის მატება-შემცირების დინამიკას, რაც ერთი მხრივ, იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამ დააინტერესა მოზარდი, რამ შეაშფოთა, შეუქმნა დისკომფორტი, მოხიბლა და ა.შ; ხოლო მეორე მხრივ, რა შეიძლება შეცვალოს სპეციალისტმა ტრანზიციის პროცესის ეფექტიანობისათვის (ადრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში).

მიზანშეწონილია სპეციალისტმა ფოტოებზე ან ვიდეოზე აღბეჭდოს მოზარდის ვიზიტი დაწესებულებაში, იქ გაცდილი მოვლენები, გარემო, განხორციელებული აქტივობები. ეს მოგვიანებით დაეხმარება მოზარდს გამოცდილებაზე რეფლექსიის პროცესში.

ნათელია, რომ განსაკუთრებულ დაგეგმვას საჭიროებს თავად ვიზიტი. ვიზიტის გეგმის წინასწარი შემუშავება ხელს უწყობს როგორც მოზარდის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ან დასაქმების ადგილის მომზადებას ამ შეხვედრისთვის. ვიზიტის დაგეგმვისას სპეციალისტებს არ უნდა გამოორჩეთ გარემოს მახასიათებლების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში სპეციფიკური ღონისძიებების გატარება უსაფრთხოების, მისაწვდომობის და მეტი კომფორტისთვის.

ამისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (ან დასაქმების ადგილის) წარმომადგენელი, რომელიც უზრუნველყოფს მოზარდის სასწავლებელში / დასაქმების ადგილზე ვიზიტის დაგეგმვას, მის მასპინძლობას და / ან მასთან შეხვედრას, უნდა იყოს ინფორმირებული მოზარდის საჭიროებების შესახებ. შესაბამისად, საჭიროა მოზარდთან მომუშავე სპეციალისტებს ჰქონდეთ პირადი კომუნიკაცია ერთმანეთთან, რათა შესძლონ რისკების ერთობლივად იდენტიფიცირება და გათვალისწინება. დამატებით, ეს დაეხმარება სპეციალისტს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / დასაქმების ადგილიდან, სწორად განსაზღვროს მოზარდთან კომუნიკაციის ფორმა, მოაწყოს გარემო იმგვარად, რომ ის ერთის მხრივ იყოს ინფორმატიული, ხოლო მეორე მხრივ კომფორტული მოზარდისთვის.

ამავდროულად, ბარიერების და დისკომფორტის გამომწვევი ფაქტორების შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია, არ მოხდეს მოზარდის დასახვედრად გარემოს მნიშვნელოვნად გადასხვაფერება, ხელოვნურად ცვლილება - მაგ. დაზგების გამორთვა, განათების ცვლილება, მოწყობილობების მილაგება. ეს მოზარდს გარემოზე არასწორ შთაბეჭდილებებს შეუქმნის. პირიქით, ვიზიტის მიზანია, მოზარდი გაეცნოს ბუნებრივ გარემოს, მის მახასიათებლებს, თუმცა ამავდროულად აუცილებელია, სპეციალისტებს წინასწარ ჰქონდეთ განჭვრეტილი დისკომფორტის გამომწვევი ფაქტორები, თავად მოზარდი ჰყავდეთ ინფორმირებული და

შემზადებული გარემოს აღნიშნული მახასიათებლების მიმართ და განსაზღვრული ჰქონდეთ რეაგირების მექანიზმები, თუკი მოზარდს გაუჭირდება ვიზიტის დროს აღნიშნულ გარემოში დაყოვნება.

მოზარდის შესახებ ინფორმაციის გაცემისას, მნიშვნელოვანია მასთან მომუშავე სპეციალისტმა არ დაარღვიოს ეთიკისა და კონფიდენციალურობის პრინციპები და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას / დასაქმების ადგილს გადასცეს ის ინფორმაცია და იმ ფორმით, როგორც ეს თავად მოზარდისთვის და მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის იქნება მისაღები.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოზარდის მდგომარეობის და მზაობის გათვალისწინებით, აუცილებელია ვიზიტის გეგმა მისთვის ინდივიდუალურად შეირჩეს. აქტივობების შერჩევასა გუნდმა მოზარდის საჭიროების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს მათი ხანგრძლივობა, თანმიმდევრობა, ინტენსიურობა და კომპლექსურობა; მშობლის ჩართულობის აუცილებლობა, დასწრების ან თანამონაწილეობის საჭიროება.

მნიშვნელოვანია, რომ მოზარდის წინაშე ამ გეგმის წარდგენაც წინასწარ არაერთხელ მოხდეს. სპეციალისტმა შესაძლებელია, ისევ სოციალური ისტორიების მეოთხედს მიმართოს და ვიზიტამდე რამდენიმე ხნით ადრე და უშუალოდ ვიზიტის წინ მოზარდთან ერთად განიხილოს მოსალოდნელი ვიზიტი, აქტივობები, გარემო, მოზარდის როლის ამ პროცესში.

სპეციალისტს უნდა ახსოვდეს, რომ ტრანზიციის პროცესი ემსახურება მოზარდის ახალი გარემოს მიმართ ნდობის და უსაფრთხოების განცდის ფორმირებას და შესაბამისად, ყოველი მოქმედება დესენსიტიზაციის ფრთხილი მიდგომით უნდა განხორციელდეს (ადრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში).

არსებული გამოცდილების მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა თუ დასაქმების ადგილებში ვიზიტებისას ინდივიდუალურად დაგეგმილი კომპონენტი ჯგუფურ ვიზიტთან შედარებით გაცილებით უფრო წარმატებულია, რადგან შესაძლებელი ხდება სიღრმისეული წვდომა იმ დარგისა, რომლის გაცნობაც სურს მოზარდს პრაქტიკის ადგილზე; ასევე შესაძლებელია მოზარდის ჩართულობაზე, მის ინტერესზე და მოტივაციაზე დაკვირვება (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების პროცედურები).

პროფესიული აქტივობების მოსინჯვა

საუკეთესო საშუალება მომავალი პროფესიის გასაცნობად პროფესიული აქტივობების უშუალოდ მოსინჯვა - განხორციელებაა. ამ დროს მოზარდი რეალურად აღმოჩნდება ჩართული და მონაწილე იმ პროცესებისა, რომელსაც მანამდე გარედან აკვირდებოდა და მხოლოდ წარმოდგენა შეეძლო რა შეგრძნებებთან და მოქმედებებთან იქნებოდა აღნიშნული საქმიანობის თუ დავალების განხორციელება დაკავშირებული.

მნიშვნელოვანია, რომ საქმიანობის მოსინჯვამდე მოზარდი იყოს შემზადებული განსახორციელებელი აქტივობების მიმართ და მას ჰქონდეს მეტ-ნაკლებად ფორმირებული წარმოდგენა იმაზე, თუ რა ძალისხმევის გაწევა, მოქმედებების განხორციელება, შეგრძნებების მიღება მოუწევს ამ დროს.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ფრთხილად მოხდეს მოზარდისთვის განსახორციელებელი აქტივობების შერჩევა და ისინი კომპლექსურობის თვალსაზრისით შეესაბამებოდნენ მოზარდის შესაძლებლობებს.

საყურადღებოა, რომ აქტივობების შერჩევას სპეციალისტებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი შეკითხვებით:

- ⇒ რამდენად ასახავს შერჩეული აქტივობა პროფესიის საკვანძო საქმიანობას;
- ⇒ რამდენად შეუქმნის აქტივობა მოზარდს წარმოდგენას მოცემულ პროფესიაზე;
- ⇒ რამდენად შეძლებს ის ამ გამოცდილების მიღების შემდეგ მსჯელობას, ისურვებდა თუ არა ამ საქმიანობების მომავალშიც განხორციელებას;
- ⇒ რამდენად უსაფრთხოა აქტივობა მოზარდისთვის.

მოზარდის აქტივობაში ჩართვის მიზანი არაა შეფასდეს, თუ რამდენად ეფექტურად და წარმატებით გაუმკლავდა მოზარდი მათ. სრულიად შესაძლებელია, მოზარდი ვერ გაუმკლავდეს მის წინაშე დასმულ დავალებას, ამოცანას, მაგრამ აქტივობაში მონაწილეობის შედეგად, სრულიად ერთმნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთოს, რომ ეს და ამ ტიპის აქტივობებია ის, რის განხორციელებასაც ისურვებდა მომავალში. ხოლო მოზარდის გაწაფვა იმაში, რომ მან ეს აქტივობები წარმატებით განახორციელოს, სწორედ პროფესიული განათლების ამოცანაა.

თუმცა, თუკი ზოგიერთი მოზარდის შემთხვევაში, საქმიანობებში ჩართულობის ერთ-ერთი მოტივატორი წარმატებულობის განცდაა, და ეს სპეციალისტისთვის კარგად ნაცნობია, მან აქტივობების შერჩევას, შესაძლებელია მოზარდისთვის ისეთი საქმიანობები განსაზღვროს, რომელთა განხორციელება მას წარმატებით გამოუვა.

მოცემული მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ მოზარდისთვის გამოსაცდელი აქტივობების შერჩევა დიდი სიფრთხილით და მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. შესაბამისად, აუცილებელია პროფესიული აქტივობების მოსინჯვა ერთობლივად დაიგეგმოს მოზარდის ტრანზიციისაზე მომუშავე სპეციალისტის და იმ პროფესიის წარმომადგენლის მონაწილეობით, რომლის მოსინჯვაც იგეგმება. შესაბამისად, საქმიანობის მოსინჯვა შესაბამის დასაქმების ადგილზე ან პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში უნდა განხორციელდეს.

მოცემულ ეტაპზე, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ დაგროვილი პროფესიით დაინტერესებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის აქტივობების მოსინჯვის ორგანიზების კუთხით. აქტივობების მოსინჯვა მულტიდისციპლინურად იგეგმება და მასში მონაწილეობას ღებულობს პროფესიის წარმომდგენელი, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და მოზარდის ტრანზიციისაზე პასუხისმგებელი სპეციალისტი საჯარო სკოლიდან.

ბუნებრივია, იმისათვის, რომ სწორად დაიგეგმოს პროფესიის მოსინჯვის პროცესი, მოზარდთან მომუშავე სპეციალისტმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს უნდა გადასცეს ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოზარდზე, რომლის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს აქტივობების მოსინჯვის დაგეგმვა, იმისათვის რომ ის იყოს

უსაფრთხო და მაქსიმალური შედეგის მომტანი პროფესიის თაობაზე წარმოდგენის შექმნის თვალსაზრისით.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება მოსასინჯი აქტივობები, შესაბამისად, დაზუსტდება მოსინჯვის გარემო, ხელსაწყოები, მოზარდის მიერ განსახორციელებელი აქტივობები, საჭიროა მოხდეს მოზარდის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე, აპრობირებული მეთოდებით მისი შემზადება ამ პროცესისადმი, მხარდაჭერის გაწევა პროცესში და რეფლექსიის წახალისება პროცესის დასრულების შემდეგ.

ის თუ რამდენი პროფესიული პროგრამის შესაბამისი აქტივობის განხორციელება მოუწევს მოზარდს და რამდენჯერ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დავიწროებული აქვს მოზარდს არჩევანი მომავალ პროფესიებთან მიმართებაში და რამდენი მოსინჯვის შემდეგ მიიღებს ის ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, აინტერესებს მას მოცემული პროფესია, თუ არა.

რეფლექსია პროცესზე

მოზარდის რეფლექსია

მოცემულ აქტივობაში მოზარდის მონაწილებას აუცილებელია მოყვეს მიღებულ გამოცდილებაზე რეფლექსია ანუ ანალიზი იმისა, თუ რის აღქმა, გაცნა და გააზრება მოხდა მის მიერ, რამ დააინტერესა, რა მოეწონა/არ მოეწონა, რა გაცხადდა, რა დარჩა ბუნდოვანი და რა საჭიროებს განმეორებითად გაცნას ან განსხვავებულად მიწოდებას. რეფლექსიის წასახალისებლად მოზარდთან მომუშავე სპეციალისტმა შესაძლებელია მიმართოს გამოხატვის მრავალ გზებსა და საშუალებებს.

მნიშვნელოვანია, რომ პროცესზე რეფლექსია ასევე დაგეგმილ ფორმატში განხორციელდეს და სპეციალისტმა შესაბამისი დრო დაუთმოს პროცესის აღნიშნულ კომპონენტს. მიზანშეწონილია, პროცესზე რეფლექსია უშუალოდ მოყვეს გამოცდილების მიღებას - ვიზიტს, პროფესიული აქტივობების გამოცდას - მოსინჯვას.

ამავე მიზნით, სპეციალისტმა შეიძლება გამოიყენოს ვიზიტის ან საქმიანობის გამოცდის დროს გადაღებული ვიდეო და ფოტო მასალა, თანმიმდევრულად განიხილოს მოზარდთან ერთად ფოტოზე ასახული მოვლენები, მოქმედებები, გარემო, სიტუაცია. სპეციალისტმა შესაძლებელია სთხოვოს მოზარდს აღიღგინოს, თუ რა ხდებოდა კადრში ასახულ შემთხვევაში, როგორი იყო ამ დროს გარემო, თავად რას აკეთებდა, რა განიცადა, რა მოეწონა, რამ შეუქმნა დისკომფორტი ამ დროს და ა.შ. მნიშვნელოვანია, ასევე აღნიშნული ფოტოების გამოყენებით მოზარდმა აღიღგინოს მოვლენათა თანმიმდევრობა.

ამავე ფოტოებით შესაძლებელია სპეციალისტმა მოზარდთან ერთად შეიმუშავოს ახალი სოციალური ისტორია და არ არის გამორიცხული, გარკვეული რეგულარულობით განიხილოს ის მოზარდთან ერთად.

სპეციალისტის რეფლექსია

პროფესიული საქმიანობის გამოცდა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ერთის მხრივ, მოზარდმა მიიღოს ამომწურავი და თანმიმდევრული ინფორმაცია და გამოცდილება მისთვის საინტერესო პროფესიის შესახებ, ან აღმოაჩინოს მისთვის აქამდე უცნობი პროგრამები, ხოლო მეორე მხრივ, სპეციალისტებმა ობიექტურად შეაფასონ მოზარდის შესაძლებლობები და პოტენციური მოცემულ პროფესიასთან მიმართებით და განსაზღვრონ ის აკომოდაციები და მხარდაჭერები, რაც აუცილებელი იქნება მოზარდისთვის, თუკი ის მოცემული პროფესიული პროგრამის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს.

შესაბამისად, ტრანზიციის პროცესში ჩართული სპეციალისტებისთვის ასევე მნიშვნელოვანია მოზარდის საქმიანობის მოსინჯვის პროცესზე დაკვირვება, იმისათვის, რომ შეფასდეს როგორ ახორციელებს მოზარდი მიცემულ აქტივობებს / დავალებებს, როგორ რეაგირებს, რა უნარებს ავლენს, რა თავისებურებებით გამოირჩევა და მოახდინოს რეფლექსია:

⇒ რამდენად მოდის თანხვედრაში მოზარდის მიერ გამოვლენილი უნარები და შესაძლებლობები ამ პროფესიისთვის საკვანძოდ განსაზღვრულ უნარებთან და შესაძლებლობებთან;

⇒ მიუხედავად განსვლისა პროფესიისთვის მნიშვნელოვნად განსაზღვრულ უნარებსა და მოზარდის მიერ გამოვლენილ შესაძლებლობებს შორის, როგორია აპლიკანტის შესრულება, შედეგი;

⇒ რა ტიპის აკომოდაციებს მიმართავს აპლიკანტი შედეგის მისაღწევად

⇒ რა ტიპის აკომოდაციები სჭირდება მას უკეთესი შესრულებისთვის¹

მნიშვნელოვანია, სპეციალისტები განსაკუთრებული ყურადღებით აფასებდნენ სამიზნე უნარების მოცემულობას (მათი განვითარების დონეს) და შეძლებისდაგვარად სრულფასოვნად აღწერდნენ მათ (ინფორმაცია აპლიკანტის მიერ გამოვლენილი უნარების შესახებ შესაძლებელია ფიქსირდებოდეს პროფესიული ანალიზის დოკუმენტის შესაბამის სექციაში - პროფესიული აქტივობებისთვის საჭირო მოთხოვნები (უნარები და შესაძლებლობები), იმ უნარების გასწვრივ, რომელთა მოცემულობა მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული პროფესიული ამოცანების შესრულებისთვის.)

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ სპეციალისტები ძალიან ფრთხილად აფასებდნენ და აანალიზებდნენ მოზარდის მიერ გამოვლენილ უნარებს და მათ შესაბამისობას პროფესიისთვის მნიშვნელოვნად განსაზღვრულ უნარებთან. დაუშვებელია, განსვლა მოზარდის შესაძლებლობებს და პროფესიით განსაზღვრულ მოთხოვნებს შორის, ხდებოდეს საბაბი იმისა, რომ მოზარდს მიეცეს უარყოფითი რეკომენდაცია მოცემულ პროფესიულ პროგრამაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. მოცემულ ინფორმაციას, სპეციალისტთა გუნდი უნდა იყენებდეს იმისათვის, რომ მოზარდთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად ახდენდეს უწყვეტ რეფლექსიას მიღებულ გამოცდილებებზე და პროფესიული ორიენტაციის დასასრულს, სხვადასხვა პროგრამებთან მიმართებით მიღებული გამოცდილების შეჯამების საფუძველზე, ხდებოდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

¹ აღნიშნულ რეფლექსიის პროცესში სპეციალისტებს დაეხმარებათ პროფესიის ანალიზის დოკუმენტები, შექმნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებით და სადაც მოცემულია პროფესიული აქტივობებისთვის საჭირო მოთხოვნები (უნარები და შესაძლებლობები), ამავე დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება დაიგეგმოს პროფესიული მოსინჯვის პროცესი.

ამავდროულად, სპეციალისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ ინტერესის საგანს წარმოადგენს არა ცალკეული უნარის განვითარების შეფასება, არამედ, მოზარდის მიერ პროფესიული აქტივობების მოსინჯვით მიღებული გამოცდილების შეფასება. უნარებზე ინფორმაციის მიღება, ეხმარება სპეციალისტთა გუნდს, განსაზღვროს რა უწყობს ხელს ან აფერხებს მოზარდის მხრიდან ამა თუ იმ პროფესიული აქტივობის შესრულებას.

ანალოგიური პრინციპით, უნდა ხდებოდეს პროფესიით განსაზღვრულ სამუშაო იარაღების გამოყენებაზე და სამუშაო გარემოზე რეფლექსია.

თანამშრომლობა იმ უწყებასთან, სადაც ხორციელდება მოზარდის ტრანზიცია

ტრანზიციის მნიშვნელოვანი ეტაპია გადაწყვეტილების მიღება და იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების და / ან დასაქმების ადგილის შერჩევა, სადაც მოხდება მოზარდის ტრანზიცია. მოზარდმა გადაწყვეტილება შესაძლებელია მიიღოს იმ რომელიმე დაწესებულების სასარგებლოდ, სადაც განახორციელა ვიზიტები პროფესიული ორიენტაციის პროცესში, თავისი ცხოვრების მომავალი ეტაპის დაგეგმვისას.

გადაწყვეტილების მიღებას, უნდა მოჰყვეს კავშირის დამყარება აღნიშნულ დაწესებულებასთან. იმ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, მოზარდი ჯერ ისევ საჯარო სკოლის მოსწავლეა, შესაძლებელია მას და მის ოჯახს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა დაწესებულებასთან კავშირის დამყარების ეტაპზე მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტმა გაუწიოს.

ნებისმიერ შემთხვევაში, მიმღები დაწესებულების (სადაც მოზარდის ტრანზიცია ხორციელდება) ღროული იდენტიფიცირება და მასთან დაკავშირება მნიშვნელოვანია, როგორც თავად მოზარდისთვის, ასევე გამშვები (დაწესებულება საიდანაც მოზარდის ტრანზიცია ხორციელდება) და მიმღები დაწესებულებებისთვისაც. ასე, ყველა მხარეს განკარგულებაში საკმარისი დრო იქნება იმისათვის, რომ გაეცნონ ერთმანეთს, გაცვალონ ინფორმაცია, და მოემზადონ კარს მომდგარი ცვლილებებისთვის.

ტრანზიციის პროცესი გრძელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მომზადებით.

იმისათვის, რომ მიმღები დაწესებულება მომზადებული შეხვდეს მოზარდს, საუკეთესო მეგზური ამ ეტაპზეც ოჯახთან ერთად გამშვები დაწესებულების სპეციალისტი იქნება. სასურველია, ის პროაქტიულად ინიცირებდეს შეხვედრებს შერჩეული დაწესებულების წარმომადგენლებთან; აცნობდეს მათ მოზარდს, მის თავისებურებებს და საჭიროებებს; უწევდეს კონსულტაციას მოზარდისთვის შესაბამისი გარემოს მოწყობის საკითხებზე, სპეციფიურად თანამშრომლობდეს სასწავლებელში იმ პერსონალთან, რომელსაც დაევალება მოზარდის სასწავლო პროცესის მხარდაჭერა (მაგ. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი) და იმ პროფესიული პროგრამის მასწავლებლებთან, რომლებსაც მოუწევთ სტუდენტის სწავლება.

გამშვებმა დაწესებულებამ მოსწავლის შესახებ ინფორმაცია მიმღებ საგანმანათლებლო დაწესებულებას მრავალი გზით შეიძლება წარუდგინოს. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის გაზიარების ფორმატი შემთხვევის სპეციფიკიდან შეირჩეს და ამ პროცესში მოზარდის და მშობლის ხელვა იყოს გაზიარებული.

სამუშაო შეხვედრებს მნიშვნელოვანია ესწრებოდეს:

- ❖ თავად მოზარდი
- ❖ ოჯახის წევრი
- ❖ წარმომადგენელი გამშვები დაწესებულებიდან, ვინც საუკეთესოდ იცნობს ბავშვს, მაგ. სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, მოზარდის დამრიგებელი
- ❖ წარმომადგენელი მიმღები დაწესებულებიდან:
 - ⇒ გადაწყვეტილების მიმღები პირი, მაგ. ადმინისტრაციის წევრი, რომელმაც სასურველია პირადად მიიღოს ინფორმაცია მოზარდის, მისი საჭიროებების და გასატარებელი ცვლილებების შესახებ;
 - ⇒ პირი, რომელსაც მოუწევს მოზარდის სწავლება და მხარდაჭერა

აღნიშნული სამუშაო შეხვედრების მიზანი უნდა იყოს, მოზარდმა, ოჯახმა და გამშვებმა დაწესებულებამ ამომწურავად წარადგინოს ინფორმაცია მომავალ სტუდენტზე. ინფორმაცია შესაძლებელია წარდგენილი იყოს როგორც ვერბალურად, ისე წერილობით მოზარდის შეფასების ანგარიშის და / ან მისი პორტფოლიოს სახით. შეხვედრაზე უნდა გაზიარდეს, როგორც მოზარდის ძლიერი მხარეები, ისე ყველა საყურადღებო ინფორმაცია მის შესახებ.

სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობა, ასევე უნდა შეეხოს იმ ღონისძიებებს, რაც მიზანშეწონილია რომ გაატაროს პროფესიულმა მასწავლებელმა მოზარდისთვის საუკეთესო გარემოს შექმნის მიზნით, მოზარდის მიღებამდე, და მიღების შემდეგ.

სასწავლებლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს შორის, შესაძლებელია განისაზღვროს:

- ⇒ გარემოს ადაპტაცია, სხვადასხვა აკომოდაციების განხორციელება;
- ⇒ მხარდამჭერი სპეციალისტების ჩართვა, დამატებით მომსახურებების დაწესება;
- ⇒ დაწესებულების პერსონალის გადამზადება და სხვ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია იმ ღონისძიებების არასრული ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია დასჭირდეს მიმღებ დაწესებულებას მოზარდის ტრანზიციის ხელშესაწყობად.

მხარდამჭერი ღონისძიებები
<input type="checkbox"/> ინდივიდუალურ განრიგზე შეთანხმება
<input type="checkbox"/> ინდივიდუალური სამუშაო სივრცის მოწყობა
<input type="checkbox"/> მასალის / ინსტრუქციის მიწოდების ფორმის, ტემპის, მოცულობის ცვლილება
<input type="checkbox"/> წესების, დავალების საფუძვრების და/ან რუტინის ვიზუალიზაცია
<input type="checkbox"/> ქცევის მართვის სპეციფიკური სტრატეგიების გამოყენება
<input type="checkbox"/> გარე გამღიზიანებლების კონტროლი
<input type="checkbox"/> ბარათების ალტერნატიული საკომუნიკაციო სისტემის გამოყენება
<input type="checkbox"/> სხვა -----

ვინ წარმართავს ტრანზიციის პროცესს

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, ტრანზიციის პროცესის დაწყების ინიციატორი და ძირითადი პასუხისმგებელი ოჯახთან ერთად ის დაწესებულებაა, სადაც მოზარდი ტრანზიციის პროცესის დაწყების მომენტისთვის ყველაზე მეტ დროს ატარებს, მაგალითად, სკოლა, დღის ცენტრი და რომელიც საუკეთესოდ იცნობს მოზარდს. მეტიც, ამ დაწესებულებებს უმთავრესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მხოლოდ ტრანზიციის პროცესის ინიცირებაზე, არამედ მის ფასილიტაციაზე. მათი ძირითადი ამოცანა კავშირის დამყარებაა ორ ძირითად ე.წ. გამშვებ და მიმღებ დაწესებულებებს შორის; ანუ, ხიდის გადება იმ გარემოდან, რომელსაც თავად წარმოადგენენ და საიდანაც ხდება მოზარდის გაცილება (სკოლა, დღის ცენტრი), იმ გარემოსთან, რომელიც მიიღებს ბავშვს - ანუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, დასაქმების ადგილი.

ტრანზიციის პროცესის ინიცირებისას გამშვები დაწესებულებიდან განისაზღვრება მოზარდის ტრანზიციის პასუხისმგებელი პირი, რომელიც პროაქტიულად წამოიწყებს მოზარდის ცხოვრების შემდეგ ეტაპზე ან განათლების შემდეგ საფეხურზე ტრანზიციის ზრუნვას და ხდება როგორც პროცესების მაკოორდინირებელი, ისე ხშირ შემთხვევაში მედიატორი ოჯახს, მიმღებ და გამშვებ დაწესებულებებს შორის.

თუკი გამშვები დაწესებულება სკოლაა, ტრანზიციის პროცესების ფასილიტაციაზე პასუხისმგებელ პირად ძირითადად განისაზღვრება მოზარდის კლასის დამრიგებელი და მისი სპეციალური მასწავლებელი - პრაქტიკოსები, რომლებიც საუკეთესოდ იცნობენ მოზარდს, მის ინტერესებს, საჭიროებებს.

ხოლო თუკი მოზარდის ტრანზიციის დღის ცენტრიდან ხორციელდება, პასუხისმგებლობა შესაძლებელია გაინაწილონ როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა (შესაძლებელია იყოს აღმზრდელ-პედაგოგი ან სპეციალური პედაგოგი), ისე დღის ცენტრში არსებულმა ფსიქოლოგმა, შემთხვევების მენეჯერმა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ტრანზიციის ინიცირებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები მუშაობენ მოზარდთან, მშობელთან, მიმღებ დაწესებულებასთან. სწორედ აღნიშნულ ეტაპზე მოზარდის ტრანზიციის მზრუნველი მხარეების / პირების მიერ იქმნება და თანმიმდევრულად ხორციელდება ტრანზიციის გეგმა (ადრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში).

თუკი მოზარდის ტრანზიციის საჯარო სკოლიდან იგეგმება და ის ჩართულია კლასში, დამრიგებლების როლი ამ პროცესში გადამწყვეტია. პირველ რიგში იმიტომ, რომ მოსწავლეები ამ ასაკში განსაკუთრებით არიან მგრძობიარე ყველაფერი იმის მიმართ, რაც მათ განსხვავებულს ხდის და ურჩევნიათ პროცესი კლასელებთან ერთად მოიაზრებოდეს, ვიდრე განცალკევებით. შესაბამისად, ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისათვის რეკომენდებულია, რომ ყველა მე-7 კლასის დამრიგებელმა სადამრიგებლო საათის დროს ხაზი გაუსვას მომავალი ცხოვრების დაგეგმვის პროცესის წამოწყებას, გააცნოს მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ტრანზიციის პროცესის აქტუალობა და რეგულარულად წარუძღვეს კლასთან მუშაობას ამ მიმართულებით (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების პროცედურები).

თუმცა, ეს არ გამოირიცხავს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთან ინდივიდუალური ან მცირე ჯგუფებში მუშაობის საჭიროებას. სწორედ ამ შემთხვევაში ეკისრება გადაწყვეტი რილი მოზარდთან მომუშავე სპეციალისტს - სპეციალურ მასწავლებელს, ფსიქოლოგს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოზარდის ტრანზიციის პროცესის კოორდინირებას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების პროცედურები).

დღეისათვის, **სკოლაში ჩართული პრაქტიკოსების** - სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგები, სამუშაო აღწერილობით არ არის განსაზღვრული მოზარდის ცხოვრების შემდეგ ეტაპზე ან განათლების შემდეგ საფეხურზე ტრანზიციის მხარდაჭერის ვალდებულება. შესაბამისად, იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდთა და მათ შორის აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთა ტრანზიციის სისტემურად ხორციელდებოდეს, მნიშვნელოვანია, მოზარდებთან მომუშავე სპეციალისტების ფუნქცია მოვალეობებს დაემატოს შემდეგი ვალდებულება:

- ⇒ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლიდან ცხოვრების შემდეგ ეტაპზე და / ან განათლების შემდეგ საფეხურზე ტრანზიციის პროცესის მხარდაჭერა;
 - (ა) მოზარდის შემზადება ცხოვრების მიმდინარე ეტაპის დასრულებისთვის;
 - (ბ) მოზარდის მხარდაჭერა თვითგამორკვევის, ინტერესების გამოვლენის პროცესში;
 - (გ) მოზარდის შემზადება ცხოვრების შემდეგი ეტაპის მიმართ;
 - (დ) მოზარდის პროფესიული თვითგარკვევის და კარიერის დაგეგმვის მხარდაჭერა.
- ⇒ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის/მოსწავლისთვის ტრანზიციის ხელშემწყობი აქტივობების განსაზღვრა, მათი განხორციელების კოორდინირება;
- ⇒ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის/მოსწავლისთვის რელევანტური სასწავლო გარემოს შექმნისა და სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, იმ დაწესებულებების სპეციალისტებთან თანამშრომლობა, სადაც ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანზიციის, მათთვის გამოცდილების და რეკომენდაციების გაზიარება;
- ⇒ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთან/მოსწავლესთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან მუშაობა სკოლიდან ტრანზიციით გამოწვეული სირთულეების იდენტიფიცირების და დაძლევის მიზნით.

არ არის გამორიცხული, აღნიშნული ვალდებულება სკოლაში სპეციალურად ამ მიზნით დაქირავებულმა სპეციალისტმა - **ტრანზიციის მხარდაჭერი სპეციალისტი**, შეასრულოს, თუმცა, სკოლაში აღნიშნული პოზიციის არ არსებობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია ზომით მოცემული უფლება-მოვალეობები მოზარდთან მომუშავე სპეციალისტებმა განხორციელონ და ეს მათ ფორმალურად, სამუშაო აღწერილობით ჰქონდეთ განსაზღვრული.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ პირს, შესაბამისი ტრენინგი ჰქონდეს გავლილი სკოლიდან ცხოვრების შემდეგ ეტაპზე და / ან განათლების შემდეგ საფეხურზე ტრანზიციის საკითებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერა არ არის გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციალისტთა - (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი, შესაბამისი სპეციალობის პროფესიული მასწავლებელი) მანდატით, შესაბამისად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდთათვის განხორციელებულ პროფესიულ ორიენტაციას ფრაგმენტული და არასისტემური ხასიათი აქვს. მეტიც, პროფესიული განათლების სისტემაში არსებული რეგულაციის თანახმად, დაწესებულებებს არ აქვთ უფლება ინკლუზიური განათლებისთვის განსაზღვრული თანხა გამოიყენონ პროფესიული განათლებით დაინტერესებული სპეციალური საგანმანათლებლო პირის პროფესიული ორიენტაციისთვის და ამ პროცესში, მისთვის საჭირო მხარდაჭერის მიწოდებისთვის. დღესდღეობით, თანხის გახარჯვა დასაშვებია მხოლოდ სტუდენტის სტატუსის მქონე პირებზე; ამავდროულად არ არის განსაზღვრული პერიოდი, როდესაც მომავალ სტუდენტს შეუძლია მიმართოს პროფესიულ სასწავლებელს პროფესიული ორიენტაციის გავლის მიზნით, იმისათვის რომ საჭირო დრო გაატაროს პროფესიულ სასწავლებელში, მიიღოს შესაბამისი გამოცდილება და გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით. შესაბამისად, იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდთა პროფესიული ორიენტაციის სისტემა გამართულად ამუშავდეს, უპირველესად საჭიროა:

- ⇒ მიმღები დაწესებულებიდან პროფესიულ ორიენტაციაში ჩართულ პირთა სამუშაო აღწერილობებს დაემატოს პროფესიული ორიენტაციის გამხორციელების ვალდებულება;
- ⇒ განისაზღვროს საჭირო თანხა თითოეული სტუდენტის პროფესიული ორიენტაციისთვის;
- ⇒ განისაზღვროს რეგულაციები, რომლის თანახმად, მომავალ სტუდენტს შეეძლება საჭირო ხანგრძლივობით მიიღოს სრულფასოვანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ინდივიდუალურად მორგებული გეგმის შესაბამისად და ამავდროულად, მიიღოს საჭირო მხარდაჭერა ამ პროცესში.

აღნიშნული რეგულაციების საფუძველზე, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებს მიეცემა შესაძლებლობა, საჭირო მხარდაჭერის პირობებში ჩაერთონ და გაიარონ იმ ხანგრძლივობის პროფესიული ორიენტაციის პროცესი, რაც მათ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და ახალ გარემოსთან შესაგუებლად დასჭირდებათ.

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა პროფესიული განათლების სისტემაში ტრანზიციის მოდელის პილოტირების ანგარიში

წინამდებარე ანგარიში ასახავს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთა სკოლიდან ტრანზიციის მხარდაჭერის პილოტურ პროცესს. პროცესი განხორციელდა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთა პროფესიული განათლების სისტემაში ტრანზიციის მოდელის საფუძველზე, რომელიც მოიცავს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს, ითვალისწინებს ადგილობრივ კონტექსტს და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთა საჭიროებებს.

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთა სკოლიდან ტრანზიციის მხარდაჭერის პილოტური პროცესი სამ ეტაპს მოიცავს (იხილეთ ცხრილი N1):

- ⇒ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეების შერჩევა საპილოტე პროცესში მონაწილეობის მისაღებად; ტრანზიციის მხარდამჭერი გუნდების ფორმირება;
- ⇒ ტრანზიციის გუნდების შეკრება, ტრანზიციის გეგმის თანმიმდევრული შეთანხმება და განხორციელება;
- ⇒ პილოტირების პროცესის შეჯამება და რეკომენდაციების მომზადება.

ცხრილი N1-აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის მექანიზმის პილოტირების ეტაპები

N	განხორციელებული ეტაპები	აქტივობები
1	აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეების შერჩევა; ტრანზიციის მხარდამჭერი გუნდების ფორმირება	აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირების იდენტიფიცირება, პილოტირების პროცესში ჩასართავად
		საინფორმაციო საორიენტაციო შეხვედრების განხორციელება მშობლებთან
		გამშვები და მიმღები დაწესებულებების იდენტიფიცირება; საინფორმაციო-საორიენტაციო შეხვედრების განხორციელება;
		სკოლებთან და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ოფიციალური კომუნიკაციის ინიცირება
		გამშვებ და მიმღებ დაწესებულებებში ტრანზიციის პასუხისმგებელი პირებს იდენტიფიცირება
2	ტრანზიციის გუნდების შეკრება, ტრანზიციის გეგმის	ტრანზიციის მხარდამჭერთა გუნდის შეკრება
		მოზარდთა ინტერესების განსაზღვრა

	<p>თანმიმდევრული შეთანხმება და განხორციელება</p>	<p>მოზარდთა ტრანზიციასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოვლენა და ანალიზი</p> <p>მოზარდთა ხედვის გაფართოება სკოლის ალტერნატიულ სასწავლო გარემოზე; კოლეჯის გარემოს გასაცნობად საორიენტაციო, გაცნობითი ვიდეოების მომზადებაზე შეთანხმება</p> <p>მიმღები დაწესებულების მიერ საორიენტაციო, გაცნობითი ვიდეოების მომზადება კოლეჯის გარემოს გასაცნობად</p> <p>გამშვები დაწესებულებისა და მშობლების მიერ მოზარდების კოლეჯში ვიზიტისთვის შემზადება ამ მიზნით შექმნილი ვიდეოს დეტალურად განხილვის საფუძველზე</p> <p>გამშვები და მიმღები დაწესებულებების ჩართულობით მოზარდების კოლეჯში საორიენტაციო, გაცნობითი ვიზიტის დაგეგმარების გამოვლენა და გათვალისწინება; ვიზიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება (მაგ. ვიზიტის ვიდეო გადაღება)</p> <p>მოზარდთა კოლეჯში ვიზიტი გამშვები დაწესებულების მიერ ვიზიტის კოორდინირება</p> <p>მოზარდთა ვიზიტზე და მიღებულ გამოცდილებაზე რეფლექსია მშობლისა და გამშვები დაწესებულების სპეციალისტების მიერ (მიღებული გამოცდილების გაანალიზება ვიდეო და ფოტო მასალაზე დაყრდნობით; მოზარდთა უკუკავშირის, შეფასების მოსმენა)</p>
4	<p>პილოტირების პროცესის შეჯამება და რეკომენდაციების მომზადება</p>	<p>ტრანზიციის გუნდის შეკრება და ტრანზიციასთან დაკავშირებული პირველი გამოცდილების ურთიერთგაზიარება</p> <p>ტრანზიციასთან დაკავშირებული შემდეგი ნაბიჯების / აქტივობების განსაზღვრა; პასუხისმგებლობების მიმღებ, გამშვებ დაწესებულებებს და მშობლებს შორის გადანაწილება</p>

		<p>ტრანზიციის გუნდისათვის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის ფორმის წარდგენა ტრანზიციის პროცესის დოკუმენტირებაზე შეთანხმება</p> <p>პროცესის შეჯამება ტრანზიციის გუნდის წევრების მონაწილეობით და სამომავლო რეკომენდაციების მომზადება</p>
--	--	---

პილოტირების პროცესი

- I. **პილოტირების პირველი ეტაპი - აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდების შერჩევა ტრანზიციის მოდელის პილოტირებაში ჩასართავად, საორიენტაციო შეხვედრები მშობლებთან და გამშვებ დაწესებულებებთან, ტრანზიციის მხარდამჭერი გუნდების ფორმირება**

პილოტირების პირველ ეტაპზე შეირჩა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ორი მოსწავლე, რომელთა მშობლებმა და სკოლებმა გამოთქვეს პროცესში მონაწილეობის მზაობა.

პილოტირების პროცესში მრავალფეროვანი გამოცდილების მიღების მიზნით, მოზარდების შერჩევას კონსულტანტთა გუნდმა იხელმძღვანელა შემდეგი კრიტერიუმებით:

- ⇒ ერთ შემთხვევაში შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა მოსწავლის დამამთავრებელ კლასში ყოფნა და მომავალი პროფესიის გადაუვადებლად შერჩევის საჭიროება;
- ⇒ ხოლო მეორე შემთხვევაში - მოზარდის საბაზო საფეხურზე სწავლა, და ტრანზიციისთვის მზადების ადრეულ ეტაპზე დაწყების შესაძლებლობა.

პილოტირების მიზნებისათვის ასევე საინტერესო იყო მოსწავლეები ყოფილიყვნენ განსხვავებული საგანმანათლებლო კონტექსტიდან. შესაბამისად, პილოტში მონაწილე მოზარდები შეირჩნენ შემდეგი საჯარო სკოლებიდან:

- ⇒ სსიპ - მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქ. თბილისის N41 საჯარო სკოლა, ინტეგრირებული კლასი;
- ⇒ თბილისის N198-ე რესურს სკოლა.

სამიზნე სკოლების განსაზღვრის შემდეგ, კონსულტანტთა ინიცირებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შუამდგომლობით, განხორციელდა სკოლის ადმინისტრაციისადმი ოფიციალური მიმართვა ტრანზიციის პილოტური პროცესის შესახებ მათი ინფორმირების და პროცესში მონაწილეობის თაობაზე თანხმობის მიღების მიზნით.

გამშვები დაწესებულების მხრიდან, ტრანზიციის მხარდამჭერაზე პასუხისმგებელ და შესაბამისად, პილოტურ პროცესში მონაწილე პირებად განისაზღვრნენ მოსწავლეთა კლასის დამრიგებლები და სპეციალისტები, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ მოსწავლეებთან (სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტი).

ტრანზიციის პროცესის პირველ ეტაპზე განხორციელდა საორიენტაციო შეხვედრა მოსწავლეების მშობლებთან და გამშვები დაწესებულების წარმომადგენლებთან. მათ წარედგინათ ტრანზიციის მოდელი, პილოტური პროცესის ჩარჩო და მოზარდების ტრანზიციის მზადებასთან ასოცირებული აქტივობები. გაიმართა დისკუსია იმ საკვანძო ღონისძიებებზე,

რომელთა განხორციელება მიზანშეწონილი იქნებოდა პილოტური პროცესის ფარგლებში მოზარდების საჭიროებების და პოლოტიკებისთვის განსაზღვრული (მცირე) დროის გათვალისწინებით.

ამავე შეხვედრაზე, გაანალიზდა თუ რამდენად ფორმირებულია მოზარდთა სპეციფიური ინტერესები ამა თუ იმ საქმიანობის მიმართ. ორივე მოზარდის შემთხვევაში, სპეციფიური ინტერესი ამა თუ იმ საქმიანობის მიმართ არ გამოვლენილა, თუმცა, მშობლების მოსაზრებით, ორივე მოზარდი განსაკუთრებით სიამოვნებით იღებს მონაწილეობას კომპიუტერთან დაკავშირებულ აქტივობებში.

აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, ტრანზიციის პროცესის მხარდამჭერმა კონსულტანტებმა, პილოტურ პროცესში მონაწილეობის მისაღებად განსაზღვრეს თბილისში მდებარე შემდეგი ორი პროფესიული სასწავლებელი:

- ⇒ სსიპ კოლეჯი „მერმისი“ - კოლეჯს აქვს მრავალფეროვანი პროგრამები;
- ⇒ სსიპ კოლეჯი „აიტი აკადემია“ - კოლეჯში უპირატესად ისწავლება კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროგრამები.

აღნიშნული პროფესიული სასწავლებლებიდან ერთ-ერთი („აიტი აკადემია“) პასუხობს მოზარდთა არსებულ ინტერესებს, ხოლო მეორე („მერმისი“) მრავალფეროვანი პოფესიული პროგრამების წარდგენით, იძლევა პროფესიებზე მოზარდთა ხედვების გაფართოების შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განსაზღვრის შემდეგ, კონსულტანტთა ინიცირებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შუამდგომლობით, პროფესიული სასწავლებლების მიმართ განხორციელდა ოფიციალური მიმართვა მიმდინარე ინციატივის შესახებ. მოხდა სასწავლებლებს ადმინისტრაციის ინფორმირება და თანამშრომლობაზე თანხმობის მიღება.

სამომავლოდ, სკოლიდან კოლეჯში ტრანზიციის მექანიზმის სისტემურად დანერგვის შემთხვევაში, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ასევე სკოლას, თავისი მანდატით უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ტრანზიციისაზე ზრუნვა და პროცესის დაწყებამდე თავად უნდა უზრუნველყოფდნენ მეორე მხარის ინფორმირებას მოზარდთა ტრანზიციასთან დაკავშირებული გეგმების და აქტივობების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთა ტრანზიციის მხარდამჭერ პირებად განისაზღვრენ ინკლუზიური განათლების სპეციალისტები. კონსულტანტების მხრიდან განხორციელდა მათი ინფორმირება და პროცესში ჩართულობის კოორდინირება.

აღნიშნული აქტივობით დასრულდა ტრანზიციის მხარდამჭერი გუნდების ფორმირება ორივე მოზარდისთვის.

II. ტრანზიციის გუნდების შეკრება, ტრანზიციის გეგმის თანმიმდევრული შეთანხმება და განხორციელება

პილოტირების მეორე ეტაპზე, კონსულტანტთა კოორდინირებით და ფასილიტაციით განხორციელდა ტრანზიციის მხარდამჭერ გუნდთან ხუთი სამუშაო შეხვედრა. სამუშაო შეხვედრებს ესწრებოდნენ ტრანზიციის მხარდამჭერი გუნდის წევრები სრული შემადგენლობით.

სამუშაო შეხვედრაზე ხდებოდა შემდეგი საკითხების თანმიმდევრული დამუშავება/განსაზღვრა:

პირველი შეხვედრა:

ტრანზიციის გუნდის პირველ შეხვედრაზე მოხდა შემდეგი საკითხების განხილვა:

- ⇒ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთა ტრანზიციის მოდელის წარდგენა, ერთიან ხედვაზე და მიდგომებზე შეთანხმება;
- ⇒ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდთა ტრანზიციასთან ასოცირებული საჭიროებების განხილვა;
- ⇒ მშობელთა პოზიციის, პრიორიტეტების და ტრანზიციასთან ასოცირებული მოლოდინების გაანალიზება;
- ⇒ პილოტში მონაწილე მოზარდების ტრანზიციასთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირების შესაძლო გზებზე მსჯელობა; საჭიროებების დოკუმენტირებისთვის კონსულტანტების მიერ შემუშავებული საჭიროებების ანკეტის წარდგენა (იხილე დანართი #1);
- ⇒ თითოეული მოზარდისთვის ტრანზიციასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოვლენაზე და დოკუმენტირებაზე შეთანხმება, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა;
- ⇒ მოზარდთა ინტერესების გამოვლენის მეთოდოლოგიის გაცნობა;
- ⇒ ტრანზიციასთან დაკავშირებული მიზნების განსაზღვრა და შესაძლო აქტივობების გეგმის შემუშავება.

შეხვედრის დროს ერთობლივად გადაწყდა:

პირველი ეტაპის მიზანი - მოზარდებისთვის ზოგადი წარმოდგენის შექმნა სკოლის ალტერნატიული სასწავლო გარემოს - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ, აღნიშნული გარემოს და მასთან დაკავშირებული პროფესიული პროგრამების შესახებ;

მეორე ეტაპის მიზანი - მოზარდთა სპეციფიური ინტერესების გამოვლენა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განმეორებითი ვიზიტების და მრავალფეროვანი პროფესიების გაცნობის/მოსინჯვის გზით.

ტრანზიციის პროცესის კონსულტანტებმა მოზარდთა მშობლებს და წარმომადგენლებს გამშვები და მიმღები დაწესებულებიდან მისცეს დეტალური რეკომენდაციები მოზარდთა საჭიროებების და ინტერესების გამოვლენის პროცესის შესახებ.

გამშვები დაწესებულების წარმომადგენლებს და მშობლებს დაევალოთ მოზარდის ტრანზიციასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოვლენა და აღწერა / დოკუმენტირება კონსულტანტთა მიერ წარდგენილი ანკეტის საფუძველზე.

გამშვები დაწესებულების წარმომადგენლებმა მოზარდებთან რამდენიმეწლიანი ურთიერთობის საფუძველზე შეავსეს ტრანზიციის საჭიროებების ანკეტა. შემდეგ ეტაპზე, შევსებული კითხვარი გადაეგზავნათ მშობლებს, რომლებმაც თავიანთი პერსპექტივიდან შეავსეს და დააზუსტეს ანკეტაში მოწოდებული ინფორმაცია.

მე-2 შეხვედრა:

ტრანზიციის გუნდის მეორე შეხვედრაზე მოხდა შემდეგი საკითხების განხილვა:

- ⇒ გამშვები დაწესებულების მიერ მოზარდის ტრანზიციის საჭიროებების შევსებული ანკეტის წარდგენა; საჭიროებების გამოვლენის პროცესზე და შედეგებზე რეფლექსია;

(საგულისხმოა, რომ შემუშავებული კითხვარი მონაწილეებისათვის (მათ შორის მშობლებისათვის) პრაქტიკული და მარტივად ადმინისტრირებადი აღმოჩნდა.)

- ⇒ მიმღები დაწესებულების მიერ მოზარდების ინდივიდუალური თავისებურებების დაზუსტება
- ⇒ ტრანზიციის მხარდაჭერის შემდეგი ნაბიჯის განსაზღვრა - მოზარდისთვის პროფესიული სასწავლებლის პირველადი გაცნობის მეთოდოლოგიაზე შეთანხმება

მოზარდების საჭიროებების გათვალისწინებით, ტრანზიციის გუნდის წევრები შეთანხმდნენ ვიზუალური მასალის დამზადების საჭიროებაზე, იმისათვის, რომ მოზარდები წინასწარ მომზადებულიყვნენ იმ გარემოსთვის, სადაც მოუწევდათ ვიზიტი. მიზანშეწონილად განისაზღვრა ვიდეოს მომზადება, რომელიც ასახავდა და გადმოსცემდა კოლეჯის გარემოს თავისებურებებს და მოზარდის კოლეჯში განსახორციელებელ მარშრუტს. გეგმის შესაბამისად, მიმღები დაწესებულებების მიერ მომზადდა ვიდეო.

მე-3 მუხვედრა:

მოცემულ მუხვედრაზე განხორციელდა შემდეგი საკითხების დამუშავება:

- ⇒ გამშვები დაწესებულების მიერ შექმნილი ვიდეოს წარდგენა და მისი ანალიზი
- ⇒ რეფლექსია ვიდეოს შექმნის პროცესზე, მისი უპირატესობების და გამოწვევების აღნიშვნა
- ⇒ ვიდეოს მოზარდისთვის წარდგენის მეთოდოლოგიის განხილვა - როგორ და ვის მიერ უნდა ხდებოდეს ვიდეო ჩანაწერის მოზარდისთვის წარდგენა და ვიდეოზე ასახული ინფორმაციის აღქმასა და და გააზრებაში მხარდაჭერა
- ⇒ ტრანზიციის მხარდაჭერის შემდეგი ნაბიჯის განსაზღვრა - სასწავლებელში ვიზიტის დაგეგმვა მოზარდთა საჭიროებების გათვალისწინებით

პროფესიული სასწავლებლის ამსახველი ვიდეოს მოზარდისთვის წარდგენა მშობლებმა ისურვეს (ტრანზიციის ამ ეტაპისთვის განსაზღვრული მცირე დროის გამო); თუმცა, სამომავლოდ (საკონტაქტო სასწავლო პროცესის და ხანგრძლივი დროის მისაწვდომობის შემთხვევაში), მიზანშეწონილია, მოცემულ აქტივობას წარმართავდეს გამშვები დაწესებულება და მისი წარმომადგენლების მხრიდან აქტიურად ხდებოდეს მოზარდათან მუშაობა სკოლის ალტერნატიული სასწავლო გარემოს შემეცნების მიზნით.

მე-4 მუხვედრა:

ტრანზიციის მეოთხე მუხვედრაზე მოხდა შემდეგი საკითხების განხილვა:

- ⇒ მოზარდების კოლეჯებში ვიზიტის დაგეგმვა
- ⇒ ვიზიტის განხორციელების პროცესში საყურადღებო მიდგომებზე შეთანხმება

ვიზიტის გეგმის შემუშავებისას დეტალურად მოხდა მოზარდების საჭიროებების და თავისებურების გათვალისწინება. ერთი მოსწავლისთვის, მისი ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად განისაზღვრა პროგრამების მრავალფეროვნების ჩვენება, თუმცა, დაზუსტდა კოლეჯებში ყოფნის ხანგრძლივობა გადაღლის და გაღიზიანების თავიდან აცილების მიზნით; ხოლო, მეორე მოზარდის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად განისაზღვრა მხოლოდ რამდენიმე პროგრამის ჩვენება, რათა არ მომხდარიყო მისი ინფორმაციით გადატვირთვა და მას არ

გართულებოდა მიღებული ინფორმაციის სათანადოდ გადამუშავება. დამატებით, მოზარდების საჭიროების გათვალისწინებით, სპეციალისტებმა საყურადღებოდ განსაზღვრეს შემდეგი ფაქტორები: მოზარდების ვიზიტის დროს აუდიტორიუმში ნაკლები ადამიანის ყოფნა; ვერბალური ინფორმაციის მოზარდისთვის მაქსიმალურად ლაკონურად მიწოდება; მეტი აქცენტი დემონსტრირებაზე.

საჭიროდ განისაზღვრა, თავად ვიზიტის ვიდეოზე ან ფოტოზე აღბეჭდვა, რაც ვიზიტის დასრულების შემდეგ მოზარდს და მიმღები დაწესებულების სპეციალისტებს შესაძლებლობას მისცემდა დეტალურად გაეანალიზებინათ მიღებული გამოცდილება და განხორციელებინათ რეფლექსია მიღებულ შთაბეჭდილებაზე.

მოზარდისა და მისი მშობლისთვის ხელსაყრელ დღეს განხორციელდა მოზარდის ინდივიდუალური ვიზიტი კოლეჯში. კოლეჯში მათ მეგზურობას ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები უწევდნენ შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

მე- 5 მეხვედრა

ტრანზიციის გუნდის მეხუთე მეხვედრაზე მოხდა შემდეგი საკითხების განხილვა:

- ⇒ ვიზიტზე რეფლექსია - ძლიერი მხარეების და გამოწვევების შეფასება
- ⇒ მოცემულ ეტაპზე გამშვები დაწესებულების როლის განსაზღვრა
- ⇒ სამომავლო აქტივობების დაგეგმვა

მიმღები დაწესებულების წარმომადგენლების და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე, ვიზიტი წარმატებულ და სასარგებლო აქტივობად შეფასდა, რამაც მოზარდებს მისცა შესაძლებლობა ახალი სასწავლო გარემო და აქტივობები აღმოეჩინათ. ერთი მოზარდის შემთხვევაში, პირველივე ვიზიტზე გამოიკვეთა განსაკუთრებული დაინტერესება კონკრეტული პროფესიული აქტივობების მიმართ, რაც იმას მიუთითებს, რომ მიმღებმა დაწესებულებამ შეძლო მოზარდების კოლეჯში ვიზიტის მართებულად დაგეგმვა და განხორციელება. ამავდროულად, მონაწილე მხარეები აცნობიერებენ, რომ ერთი ვიზიტის საფუძველზე ვერ მოხდება მოზარდის ინტერესების სრულყოფილად გამოვლენა და ეს პროცესი მიზანმიმართულ გაგრძელებას საჭიროებს.

ტრანზიციის გუნდმა გააანალიზა ასევე გამოწვევები, რაც განხორციელებულ აქტივობას ახლდა თან. მაგ. ვერ მოხდა აუდიტორიუმში ადამიანების რაოდენობის გაკონტროლება.

მიმღები დაწესებულების წარმომადგენლებს გადაეცათ კოლეჯში მოზარდის ვიზიტის ამსახველი ვიდეო მასალა. მიმღები დაწესებულების ამოცანად განისაზღვრა, მოზარდთან მუშაობა და განხორციელებულ ვიზიტზე რეფლექსიის წახალისება.

III. მესამე ეტაპი - პილოტირების პროცესის შეჯამება და რეკომენდაციების მომზადება

პილოტირების მესამე ეტაპზე სამუშაო ჯგუფთან გაიმართა შემაჯამებელი მეხვედრა, სადაც მათ წარედგინათ ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის ფორმა (დანართი N2), რომელიც უნდა ასახავდეს მოზარდების ტრანზიციასთან დაკვირვებულ ყველა საკვანძო აქტივობას. გუნდის წევრებს განემართათ გეგმის სტრუქტურა და დოკუმენტის წარმოების წესები.

მეხვედრის დროს გაიმართა მსჯელობა შემდეგ საკითხებზე:

- რა ძირითადი გამოცდილება მიიღეს ტრანზიციის გუნდის წევრებმა პილოტირების პროცესში;
- როგორ გაგრძელდება მოზარდების ტრანზიციისაზე ზრუნვა და ტრანზიციის მხარდამჭერ რა აქტივობებს შესთავაზებენ მოზარდებს;
- რა არის მათი მოსაზრებით აუცილებელი პირობა ტრანზიციის მხარდაჭერის მოდელის ფართო სკალაზე დასანერგად;
- რა შეიძლება იყოს გამოწვევა მოდელის დანერგვის პროცესში.

რამდენადაც, ინტერსების კვლევა არის ტრანზიციის პროცესის ერთ-ერთი ხანგრძლივი ფაზა, რომელიც შესაძლოა წელიწადზე მეტიც კი გაგრძელდეს და რომელიც გულისხმობს გამშვები დაწესებულების ინიცირებით მოზარდისთვის მრავალფეროვანი გამოცდილების მიწოდებას, მოზარდზე დაკვირვებას, მიღებულ გამოცდილებაზე რეფლექსიის წახალისებას, შესაბამისი ინსტრუმენტებით მოზარდის მხარდაჭრას საკუთარი ინტერესების მიგნებაში / განსაზღვრაში, აღნიშნული მიმართულებით მუშაობა პილოტური პროცესის დასრულების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს.

პილოტირების მთავარ შედეგად განისაზღვრა შემდეგი:

- ⇒ მშობელი და გამშვები დაწესებულებების წარმომადგენლები აცნობიერებენ სკოლიდან ცხოვრების შემდეგ ეტაპზე ტრანზიციის სენსიტიურობასა და მიზანმიმართული დაგეგმვის საჭიროებას; იცნობენ და პრაქტიკულად ერთვებიან ტრანზიციის მხარდამჭერ აქტივობებში;
- ⇒ გამშვებმა დაწესებულებები აცნობიერებენ საკუთარ როლს და ვალდებულებას აღნიშნულ პროცესში;

ამავდროულად, გამოვლინდა სპეციფიური მიდგომის საჭიროება რესურს სკოლებში ტრანზიციის მხარდამჭერი კადრის განსაზღვრის პროცესში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რესურს სკოლაში ყველა მოსწავლე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისაა და ერთ კლასს, როგორც წესი, ემსახურება ერთი სპეციალური მასწავლებელი, მათი რაოდენობა არასაკმარისია ყველა მოსწავლის ტრანზიციის პროცესის ინდივიდუალური მხარდაჭერისთვის. სკოლიდან ტრანზიციის მხარდაჭერის სისტემური დანერგვის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად განისაზღვროს რესურს სკოლაში არსებული ადამიანური რესურსების განაწილება და ჩართულობა ტრანზიციის მხარდაჭერის პროცესში; ასევე მოხდეს ტრანზიციისაზე ზრუნვის კომპონენტის ინტენსიური ინტეგრირება სასწავლო პროცესში.

- ⇒ გამშვებმა დაწესებულებებმა მიიღეს ახალი ინფორმაცია პროფესიული სასწავლებლების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის სისტემაში არსებული სერვისების შესახებ;
- ⇒ გამშვები და მიმღები დაწესებულების წარმომადგენლებმა გააცნობიერეს ტრანზიციის პროცესის თანმიმდევრულად (არა სპონტანურად) დაგეგმვის მართებულობა. ამავდროულად, კონკრეტულ მდგომარეობასთან (მოცემულ ეტაპზე, აუტისტურ სპექტრთან) ასოცირებული საჭიროებების და რეაგირების გზების გათვალისწინების აუცილებლობა; მაგ. ვიდე მასალების მომზადების ეფექტურობა.
- ⇒ გამშვები დაწესებულებისთვის ცხადი აღმოჩნდა, რომ ტრანზიციის პროცესზე ზრუნვა მათი ვალდებულებაა და ისინი პროაქტიულად უნდა უზრუნველყოფდნენ ამ პროცესს. დამატებით, პროცესის ეფექტურობისთვის, მნიშვნელოვნად გამოვლინდა დაწესებულების

ადმინისტრაციის მხარდაჭერის საჭიროება; ხოლო, აღნიშნული კომპონენტის სისტემური დანერგვის შემთხვევაში, ტრანზიციაზე ზრუნვის სკოლის მანდატით განსაზღვრის საჭიროება, რასაც გამშვები დაწესებულების წარმომადგენლების კომპეტენციის ზრდა უნდა მოყვეს;

⇒ მიმღები დაწესებულების წარმომადგენლებმა გააცნობიერეს პროფესიული ორიენტაციის საჭიროება იმ მოზარდებისთვის, რომლებიც სკოლის შემდგომი ეტაპის დაგეგმვის პროცესში იმყოფებიან.

ამავდროულად, კიდევ ერთხელ გამოვლინდა ხარვეზი, რაც მოცემულ ეტაპზე აფერხებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან მოზარდთა ტრანზიციის ეფექტურ განხორციელებას - მიმღები დაწესებულების წარმომადგენლებს მოცემულ ეტაპზე უფლება არ აქვთ პროფესიული ორიენტაციის მომსახურებისას გამოიყენონ დაწესებულების დაფინანსება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი უზრუნველყონ ისეთი მხარდაჭერით, როგორცაა მაგალითად პირადი ასისტენტი, ტრანსპორტირება (აღნიშნული მხარდაჭერით უზრუნველყოფა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირების შემთხვევაშია შესაძლებელი, რაც ზღუდავს სკოლის მოსწავლეთა მხარდაჭერის შესაძლებლობებს მათი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად).

იდეების შეჯერების საფუძველზე გამოკვეთა რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია, რომელიც გასათვალისწინებელი იქნება მოდელის ფართოდ დანერგვის პროცესში.

რეკომენდაციები მოდელის ფართო სკალაზე დასანერგად

⇒ ზოგადი და პროფესიული განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებში გაჩნდეს ტრანზიციის მხარდაჭერი სპეციფიური ჩანაწერები, აღიწეროს ჩართული მხარეების როლი და ფუნქცია-მოვალეობები, განისაზღვროს ტრანზიციაზე ზრუნვის ვადები.

აღნიშნული ჩანაწერების საფუძველზე სკოლის მოსწავლეთა ტრანზიციაზე ზრუნვა და ამ პროცესის მხარდაჭერა გახდება როგორც სკოლის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სავალდებულო საქმიანობა; ასევე, გადაიჭრება ის პრობლემა, რაც კოლეჯის მხრიდან სკოლის მოსწავლეთა მხარდაჭერის სირთულეებს უკავშირდება, ხოლო სკოლის მხრიდან - აღნიშნული საქმიანობის განხორციელების მოტივაციას.

⇒ განხორციელდეს გამშვები და მიმღები დაწესებულების ადმინისტრაციის და ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი გუნდის ტრენინგი ტრანზიციის საკითხებზე. მიზანშეწონილია, რომ ტრენინგები დაიგეგმოს და განხორციელდეს შერეულ ჯგუფებთან - ტრენინგს ესწრებოდეს წარმომადგენელი როგორც მიმღები, ისე გამშვები დაწესებულებებიდან.

⇒ დაინერგოს მოზარდთა ინტერესების საკვლევო მეთოდოლოგია და / ან ინსტრუმენტები; საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების გამოყენების მორგება აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდებისთვის; მოხდეს სპეციალისტთა ტრენინგი ინტერესების კვლევის საკითხებში განსაზღვრული ინსტრუმენტის / მეთოდოლოგიის საფუძველზე;

⇒ მოზარდთა ტრანზიციისათვის მზადება დაიწყოს რაც შეიძლება ადრე და ტრანზიციაზე ზრუნვა გახდეს სასწავლო პროცესის ინტეგრირებული ნაწილი;

- ⇒ ტრანზიციის მხარდაჭერა განხორციელდეს თანმიმდევრულად, გუნდში შეთანხმებული აქტივობების საფუძველზე;
- ⇒ გამშვები დაწესებულების მიერ მშობლებთან და მიმღებ დაწესებულებებთან ერთად ხდებოდეს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის წარმოება;
- ⇒ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მშობლებზე, მათ ინფორმირებასა და პროცესში ჩართულობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაგრატიონი-გრუზინსკი მ, ბარქაია ც, მიდელაური.ვ, წულაძე. მ, ხვალდაგიანი.ბ, ზაქარეიშვილი.მ ადრეული ბავშვობა და ტრანზიციის სკოლაში , 2019, თბილისი. ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის
2. ნინო რუხაძე (2018). სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ზოგადიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელების პროცედურები -რეკომენდებული მოდელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.თბილისი
3. ნინო რუხაძე (2016). ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი
4. Ambitious About Autism. *Supporting young people with Autism to move from school to college* .2016 UK. London.
5. Dockett, S., & Perry, B. (2007). *Transitions to school: Perceptions, expectations, experiences*. UNSW press.
6. Hendricks, D. R., & Wehman, P. (2009). Transition from school to adulthood for youth with autism spectrum disorders: Review and recommendations. *Focus on autism and other developmental disabilities*, 24(2), 77-88.
7. Roleska, M., Roman-Urrestarazu, A., Griffiths, S., Ruigrok, A. N., Holt, R., Van Kessel, R., ... & Czabanowska, K. (2018). Autism and the right to education in the EU: Policy mapping and scoping review of the United Kingdom, France, Poland and Spain. *PLoS one*, 13(8), e0202336.
8. <https://www.crporegon.org/Page/284#What%20is%20preparation%20for%20postsecondary%20education%20and%20training?>
9. <https://www.cdc.gov/ncbddd/autism/data.html>
10. <https://www.european-agency.org/country-information>

დანართი N1

სასწავლებელში ტრანზიციისათვის მოზარდის საჭიროებების განსაზღვრის ფორმა

წინამდებარე კითხვარი შექმნილია მოზარდის პროფესიულ სასწავლებელში გადასვლასთან (ტრანზიციასთან) დაკავშირებული საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, რათა მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაიგეგმოს მოზარდის სასწავლებელში ეფექტიანი ჩართვისთვის საჭირო მხარდაჭერა.

შევსების თარიღი	რიცხვი / თვე / წელი ----- / ----- / -----
ინფორმაციის მოპოვებაზე პასუხისმგებელი პირი	
პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	
რესპონდენტი	<input type="checkbox"/> ოჯახი წევრი / კანონიერი წარმომადგენელი <input type="checkbox"/> მოზარდი <input type="checkbox"/> სპეციალისტი <input type="checkbox"/> სხვა (გთხოვთ, დააზუსტოთ)

ინფორმაცია მოზარდის შესახებ	
მოზარდის სახელი / გვარი	
მოზარდის ასაკი	
მოზარდის დაბადების მოწმობის ნომერი	
სასწავლებელი, რომელითაც დაინტერესდა მოზარდი	

ინფორმაცია ოჯახის შესახებ	
მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის სახელი / გვარი	
მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ტელეფონი	
მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ელექტრონული მისამართი	
მოზარდის საცხოვრებელი მისამართი	

ანკეტის შევსებისას, მნიშვნელოვანია ამომწურავად მოხდეს დასმულ შეკითხვებზე ინფორმაციის მოწოდება

ინფორმაცია მოზარდის ჯანმრთელობის და მასთან დაკავშირებული საჭიროებების შესახებ	
სენსორული ფუნქციები (სმენა, მხედველობა)	

ინფორმაცია დამხმარე მოწყობილობებზე, რომლითაც მოზარდი სარგებლობს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
--	--

მოზარდის მოლოდინები ცხოვრების შემდეგი ეტაპის მიმართ (პროფესიული განათლების მიმართ)	
ოჯახის (მშობლების) მოლოდინები, დეღვა მოზარდის ცხოვრების შემდეგი ეტაპის მიმართ (პროფესიული განათლების მიმართ)	
რა სურვილები აქვს მოზარდს ცხოვრების შემდეგი ეტაპის მიმართ (პროფესიული განათლების მიმართ), თუკი უკვე ცნობილია	
რა სურვილები აქვს ოჯახს ცხოვრების შემდეგი ეტაპის მიმართ (პროფესიული განათლების მიმართ), თუკი უკვე ცნობილია	
მოზარდის ხედვები საკუთარ მომავალ ცხოვრებაზე	
მოზარდის ინტერესი, ჰობი (ასეთის არსებობის, იდენტიფიცირების შემთხვევაში)	
მოზარდის ინფორმირებულობა პროფესიული განათლების შესახებ	
ოჯახის ინფორმირებულობა პროფესიული განათლების შესახებ	
ახალ გარემოში გადასვლისა და მასთან შეგუების მოზარდის წინარე გამოცდილება <i>(რამდენად გაუადვილდა / გაუჭირდა ახალ გარემოსთან ადაპტაცია, რა დამატებითი მხარდაჭერა დასჭირდა, რამ ეუწყო ხელი)</i>	
მოზარდის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები / ცვლილებები, რომელიც გასათვალისწინებელია გადასვლის (ტრანზიციის) პროცესში	
მოზარდის ცხოვრების შემდეგი ეტაპისთვის მომზადების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები (მაგ: საუბრები, შეხვედრები, ვიზიტი და ა.შ.), ასეთი გამოცდილების არსებობის შემთხვევაში	
მოზარდის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომლის გათვალისწინებაც უნდა მოხდეს ახალ გარემოში	
ოჯახის რესურსები და საჭიროებები, რომლებიც მოზარდის მომავალ ცხოვრებას	

უკავშირდება (მაგ.: სასწავლებელში ტრანსპორტირება, სასწავლო პროცესის მხარდაჭერა, და ა.შ.).	
დამატებით, რა ინფორმაციას საჭიროებს ოჯახი მოზარდის პროფესიულ სასწავლებელში ტრანზიციასთან დაკავშირებით	
მოზარდის პროფესიულ სასწავლებელში ტრანზიციასთან დაკავშირებული სხვა გასათვალისწინებელი ინფორმაცია	

მოზარდის სწავლასთან დაკავშირებული ინფორმაცია	
სფეროები	აღწერა
კომუნიკაცია <ul style="list-style-type: none"> ✓ რა სახით ამყარებს კომუნიკაციას ? ✓ რამდენად ხშირად არის კომუნიკაციის ინიციატორი? ✓ რამდენად შეუძლია დიალოგის წარმოება? ✓ რამდენად იგებს სხვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას? ✓ რამდენად შეუძლია საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის სხვისთვის გაზიარება? 	
	<p>→ დამატებითი მხარდაჭერის რა ტიპებს/ფორმებს იყენებს მოზარდი ამ ეტაპზე ?</p> <p>→ რა ტიპის დახმარება შეიძლება დასჭირდეს სასწავლებელში?</p>
ქცევა <ul style="list-style-type: none"> ✓ ქცევის რა თავისებურებები ახასიათებს? (მაგ. სტერეოტიპული ქცევა, რეაგირების სპეციფიური ფორმები) ✓ რამდენად მიყვება ./ იცავს კონკრეტულ გარემოში არსებულ წესებს (მაგ: სახლში, სკოლაში) ✓ როგორ რეაგირებს რუტინის ცვლილებაზე? ✓ გთხოვთ აღწეროთ, რამდენად ძლიერად არის გარემოს სტრუქტურაზე, ორგანიზებაზე დამოკიდებული? 	
	<p>→ დამატებითი მხარდაჭერის რა ტიპებს/ფორმებს იყენებს მოზარდი ამ ეტაპზე ?</p> <p>→ რა ტიპის დახმარება შეიძლება დასჭირდეს სასწავლებელში?</p>

<p>სოციალური და ემოციური სფერო</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ რამდენად ერთვება თანატოლებთან, უფროსებთან ერთად ერთობლივ აქტივობებში? ✓ რამდენად შეუძლია მიყვას ინსტრუქციებს, გაითვალისწინოს წესები? ✓ როგორ რეაგირებს წარუმატებლობაზე? ✓ რამდენად ვლინდება ქვევის სირთულეები (მაგ: თვითდამაზიანებელი, სხვათა დამაზიანებელი ქცევა)? ✓ ხომ არ ახასიათებს ძლიერი შფოთვა, შიში, გუნება განწყობილების ხშირი ცვლა? 	
<p>→ დამატებითი მხარდაჭერის რა ტიპებს/ფორმებს იყენებს მოზარდი ამ ეტაპზე ?</p> <p>→ რა ტიპის დახმარება შეიძლება დასჭირდეს სასწავლებელში?</p>	
<p>ცვლილებებთან შეგუება</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ხომ არ უჭირს მშობელთან ან რომელიმე ოჯახის წევრთან განშორება? ✓ როგორ ეგუება სიახლეს? ✓ როგორ რეაგირებს როდსაც გარემოს ცვლილება უწევს, მათ შორის მოულოდნელად ✓ როგორ რეაგირებს, როდესაც იცვლება გარემოს მახასიათებლები, მათ შორის მოულოდნელად (გამღიზიანებლები - ხმაური, განათლება, სუნი, ხალხმრავლობა და სხვ.) 	
<p>→ დამატებითი მხარდაჭერის რა ტიპებს/ფორმებს იყენებს მოზარდი ამ ეტაპზე ?</p> <p>→ რა ტიპის დახმარება შეიძლება დასჭირდეს სასწავლებელში?</p>	
<p>ავტონომიურობა/დამოუკიდებლობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ რამდენად დამოუკიდებლად უმკლავდება თავის საქრობებს (მაგ. ყურსასმენის გაკეთება 	

<p>ხმაურიან ადგილას; განმარტოვების მოთხოვნა)</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ რამდენად შეუძლია საკუთარი თავის და პოზიციის დაცვა? ✓ მისთვის უსაფრთხო გარემოში მართლ დარჩენის რამდენად უსაფრთხოდ გრძნობს თავს? ✓ როგორ გამოხატავს სურვილებს? ✓ რამდენად ითხოვს და იყენებს დახმარებას? ✓ რამდენად ცდილობს დამოუკიდებლად გაართვას თავი სხვადასხვა აქტივობებს? 	
<p>→ დამატებითი მხარდაჭერის რა ტიპებს/ფორმებს იყენებს მოზარდი ამ ეტაპზე ?</p> <p>→ რა ტიპის დახმარება შეიძლება დასჭირდეს სასწავლებელში?</p>	
<p>თვითმომსახურების და ადაპტური უნარები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ რამდენად დამოუკიდებელია კვებისას? ✓ რამდენად დამოუკიდებელია ტუალეტის მოხმარებისას? ✓ რამდენად დამოუკიდებელია პირადი ჰიგიენის დაცვისას? ✓ რამდენად ზრუნავს საკუთარ ნივთებზე და უფროსნილდება მათ? 	
<p>→ დამატებითი მხარდაჭერის რა ტიპებს/ფორმებს იყენებს მოზარდი ამ ეტაპზე ?</p> <p>→ რა ტიპის დახმარება შეიძლება დასჭირდეს სასწავლებელში?</p>	
<p>მოტორული უნარები (აღწერეთ საყურადღებო მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები)</p>	
<p>→ დამატებითი მხარდაჭერის რა ტიპებს/ფორმებს იყენებს მოზარდი ამ ეტაპზე ?</p> <p>→ რა ტიპის დახმარება შეიძლება დასჭირდეს სასწავლებელში?</p>	

<p>კოგნიტური განვითარება და სწავლასთან დაკავშირებული ქცევა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ახალი ინფორმაციის დასწავლის რა თავისებურებები ახასიათებს? (მაგ: გახანგრძლივებული დრო, დამატებითი ვიზუალური დამხმარე საშუალებები, კეთებით სწავლა, ხშირი გამეორება და ა.შ.) ✓ ინფორმაციის მიღების წამყვანი არხი ✓ რამდენად იჩენს ინტერესს გარემოში მიმდინარე მოვლენების მიმართ? ✓ რამდენად იყენებს უკვე არსებულ ცოდნას და გამოცდილებას ახალ სიტუაციაში? ✓ რა დროით შეუძლია ყურადღების კონცენტრაცია ერთ აქტივობაზე? რამდენად იოლად შეუძლია აქტივობიდან აქტივობაზე გადართვა? ✓ რამდენად შეუძლია პრობლემის გადაჭრა (სწავლისა თუ ყოფითი სიტუაციების დროს?) 	
<p>→ დამატებითი მხარდაჭერის რა ტიპებს/ფორმებს იყენებს მოზარდი ამ ეტაპზე ?</p> <p>→ რა ტიპის დახმარება შეიძლება დასჭირდეს სასწავლებელში?</p>	
<p>ცხოვრების შემდეგ ეტაპზე გადასვლასთან (ტრანზიციასთან) დაკავშირებული საჭიროებების შეჯამება</p>	
<ul style="list-style-type: none"> • • • 	

დანართი N2

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა

ტრანზიციის პროცესის დაწყების თარიღი		რიცხვი / თვე / წელი ----- / ----- / -----	
ტრანზიციის გუნდის ----- შეხვედრა		რიცხვი / თვე / წელი ----- / ----- / -----	
მონაწილე პირები			
პოზიცია ----- ----- -----		სახელი / გვარი ----- ----- -----	
გეგმა მონაწილე მხარეებისთვის			
აქტივობა	განხორციელების ვადა / თარიღი	პასუხისმგებელი მხარე / პირი	შენიშვნა
1.			
2.			
3.			
4.			
შედეგი: (ივსება მომდევნო შეხვედრაზე, შესრულებულ აქტივობებზე რეფლექსიის საფუძველზე)			

ტრანზიციის აქტივობების კალენდარული გეგმის ნიმუში

აქტივობა	თვე 1	თვე 2	თვე 3	თვე 4	თვე 5	თვე 6
1.						
2.						
3.						
4.						
5.						
პროცესის დასრულების თარიღი	რიცხვი / თვე / წელი ----- / ----- / -----					